ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

მერცია ხუნდაძე

საქართველო რუსულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში 2008 წლის ომის შემდეგ

სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერება
ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
პროფესორი

თბილისი, 2022

აბსტრაქტი

რუსულ-ქართული ურთიერთობები თავისი პრობლემატურობიდან გამომდინარე, ყოველთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს და შესაბამისად არ კარგავს აქტუალობას. თუმცა, აღნიშნული ნაშრომი მეტად საინტერესოა რამდენადაც მისი მიზნიდან გამომდინარე შეიცავს უახლეს ისტორიას, კონკრეტულად 2008 წლის შემდეგ რუსი გეოპოლიტიკოსების მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს და ამ ჭრილში განიხილავს რუსეთის სამომავლო გეგმებს საქართველოსთან მიმართებაში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია ჟირინოვსკის, დუგინის, შევჩენკოს, ეპიფანცევისა და პუტინის კონცეფციები, რომლებიც ქართულ მედიასივრცეში ინტერვიუების და სტატიების სახით არის წარმოდგენილი. ძირითადად გამოყენებულ იქნა “sputnik-georgia”, “მთავარი”, “ტაბულა”, “palitranews”, “რადიო თავისუფლება” და სხვა მედია პორტალები. გარდა ინტერვიუებისა შესწავლილ იქნა სამეცნიერო მასალა, კონკრეტულად დუგინის “გეოპოლიტიკის საფუძვლები“, ”მრავალპოლარული სამყაროს თეორია”, “მეოთხე პოლიტიკური თეორია” ასევე ჟირინოვსკის “ეთნოგეოპოლიტიკა”. აღნიშნული ნაშრომები ავტორების მსოფლმხედველობის გააზრებასა და საკითხის უკეთ აღქმაში გვეხმარება. ასევე ერთ-ერთ თავში განვიხილავ ანდრეი ეპიფანცევის წერილს, სადაც საქართველოს ისტორიის თავისებურ გააზრებას გვთავაზობს და ამავე თავში საუბარია პუტინის მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებაზე.

საკვლევი საკითხის ხასიათიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდი. რელევანტური ლიტერატურისა და ინტერვიუების შერჩევა მოხდა მიზნობრივად. მათი კვლევისთვის კი გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, რამდენადაც ეს ნაწილი მოითხოვს შინაარსობრივ ანალიზს. კვლევის ფარგლებში ასევე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან, რომელთაც გააჩნიათ კომპეტენცია გააანალიზონ რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციები და ზოგადად რუსული გეოპოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

ნაშრომის საკვლევი ჰიპოთეზა, რომ რუს გეოპოლიტიკოსთა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაფიქსირებული კონცეფციების მიხედვით, რუსული კონტროლის

შენარჩუნება ხისტი და რბილი ძალის კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი, კვლევის ფარგლებში დადასტურდა. რამდენადაც რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში იყენებს “ხისტ ძალას”, რისი არაერთი ისტორიული ფაქტიც სახეზეა და რომლის ფარგლებშიც მას საქართველოს დანაწევრება სურს. ამის შესახებ საუბარია ნაშრომის პირველ თავში. და რუსეთი ასევე იყენებს “რბილ ძალას” რომლის მექანიზმებზეც ვრცლად მესამე თავშია საუბარი.

ნაშრომი სულ შედგება; შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან.

Abstract

The concepts of Russian Geopoliticians about Georgia after war of 2008

Author: Khundadze M.

Due to its problematic nature, Russian-Georgian relations have always been of interest and therefore do not lose their relevance. However, this paper is very interesting in that it contains recent history, specifically the views expressed by Russian geopoliticians since 2008, and in this context discusses Russia's future plans for Georgia.

For the purpose of the research, the paper discusses the concepts of Zhirinovsky, Dugin, Shevchenko, Epipantsev and Putin, which are presented in the form of interviews and articles in the Georgian media space. "Sputnik-georgia", "Home", "Tabula", "palitranews", "Radio Liberty" and other media portals were mainly used. In addition to the interviews, scientific material was studied, namely Dugin's "Fundamentals of Geopolitics", "Theory of a Multipolar World", "The Fourth Political Theory" and Zhirinovsky's "Ethnogeopolitics". These works help us to understand the authors' worldview and better understand the issue. Also in one of the chapters I discuss Andrei Epipantsev's letter, where he offers a peculiar understanding of the history of Georgia, and in the same chapter we talk about Putin's falsification of the history of Georgia.

Due to the nature of the research question, a qualitative method was used. Relevant literature and interviews were selected purposefully. Content analysis is used for their research, as this part requires content analysis. The study also conducted in-depth interviews with experts and specialists in the field, who have the competence to analyze the concepts of Russian geopolitics and Russian geopolitics in general in relation to Georgia.

The research hypothesis of the paper that according to the concepts established by Russian geopolitics after the August 2008 war, it is possible to maintain Russian control through the combined use of hard and soft force, the study confirmed. As far as Russia is using "hard power"

towards Georgia, there are many historical facts in the face of which it wants to divide Georgia. This is discussed in the first chapter of the paper. And Russia also uses "soft power", the mechanisms of which are discussed in more detail in Chapter Three.

The paper is totally composed; From an introduction, a literature review, four chapters, and a conclusion.

სარჩევი

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 17

თავი I. საქართველოს “დაშლის” იდეა რუსულ გეოპოლიტიკაში 22

1.1 ჟირინოვსკი საქართველოს დანაწილების შესახებ 23

1.2 დუგინი “აგვისტოს ომის შემდგომი რეალობის” აღიარების შესახებ. 26

1.3 ოკუპირებული ტერიტორიები 31

თავი II. რუსული გეოპოლიტიკა და საქართველოს ისტორია 36

2.1 ეპიფანცევის კონცეფცია 36

2.2 პუტინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთში შესვლის შესახებ 42

თავი III. რუსული გეოპოლიტიკა და ქართული ელიტა 45

3.1 “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” როგორც პროამერიკული ძალა 45

3.2 “ქართული ოცნება” და რუსეთთან ურთიერთობების განახლების სურვილი 47

3.3 ქართველი პოლიტიკოსის რუსული კავშირები 50

თავი IV. რუსეთის “რბილი ძალა” საქართველოში 52

4.1 მართლმადიდებლობის ფაქტორი 53

4.2 ეკონომიკური ფაქტორი 57

4.3 მედიის როლი 60

დასკვნა 63

გამოყენებული ლიტერატურა 66

შესავალი

საკითხის აქტუალობა

რუსული იმპერიალიზმის სამ საუკუნოვანი ისტორიის მიღმა და რუსული გეოპოლიტიკის ფართო ასპარეზზე, გარკვეული მნიშვნელობა საქართველოსაც ენიჭება. მეტიც, რუსეთი უდრეკად ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს მისი გავლენის სფეროდან გაქცევის პროცესს. ამას სხვადასხვა მექანიზმებით და პირველ რიგში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ინსტრუმენტალიზაციით ახერხებს. 2008 წლის ომის დაწყებამდე რუსეთმა განავითარა მოსაზრება, რომ კონფლიქტები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, ძირითადად სეპარატისტულ რეგიონებსა და თბილისს შორის იყო. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მართლაც არსებობდა, რუსეთის დამოკიდებულება ძირს უთხრიდა საქართველოს ძალისხმევას აღედგინა ნდობა. შესაბამისად, რუსეთის როლი გადამწყვეტია საქართველოს მოუგვარებელი კონფლიქტების საკითხში. გარდა ამისა, დღემდე ხორციელდება დაძაბულობის ინსტრუმენტალიზაცია რუსეთის მხრიდან, და ასევე ის სხვადასხვა გზებით ცდილობს შეაფერხოს საქართველოს მიერ უსაფრთხოების პოლიტიკის დამოუკიდებელი განსაზღვრა და დასავლური ინტეგრაცია. (Janse, 2021) რუსი გეოპოლიტიკოსები თუ პოლიტიკოსები ცდილობენ შენიღბონ რეალური პროცესები ისეთი ცნებების შემოღებით, როგორიცაა "გავლენის სფეროები", "სტრატეგიული ინტერესები" და აშ. საბოლოო მიზანი კი მათი დესტაბილიზაციის, ეროზიისა და მეზობელი სივრცეების ოკუპაციის გამართლებაა. ძალადობრივ სივრცით პრაქტიკას ყოველდღიური ხასიათი აქვს საქართველოში, სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან. 2013 წლის დეკემბერში რუსმა ჯარისკაცებმა სოფლების; ფლავისა და ფლავისმანის გასწვრივ მავთულხლართები დაამონტაჟეს, რამაც რა თქმა უნდა, სოფლების ყოველდღიური სივრცე დაარღვია. პრაქტიკულად მავთულხლართის ორ მხარეს დარჩნენ ადამიანები, რომლებიც ერთ დღეში ორ სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. "ბორდერიზაცია" კიდევ უფრო გააქტიურდა როცა, ამავე წელს, რუსმა ჯარისკაცებმა სოფელ დვანში, ღოღეთში, ატოცსა და ახალ ხურვალეთში ახალი თხრილები გათხარეს და სათვალთვალო მოწყობილობები დაამონტაჟეს. ძალადობრივი სივრცითი პრაქტიკა გამოიხატება, ე.წ. სამხრეთ ოსეთის

გასამხედროებული ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებით. (Tavadze, 2014) აშკარაა, რომ რუსეთს კარგად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური ხასიათი გააჩნია. არაერთმა შემთხვევამ დაადასტურა, რომ საკუთარ მზაკვრულ გეგმებს "კეთილი განზრახვის" სახელით ნიღბავს. აქეზებს და პატრონობს სეპარატისტულ რესპუბლიკებს, და თავის ქმედებას იმით ამართლებს რომ ჩაგრულ ეთნოსებს იცავს, მაშინ როცა "დაუმორჩილებელ" სახელმწიფოებს სასტიკად სჯის. რუსეთი წლების განმავლობაში კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ინარჩუნებდა დსთ-ს წევრ სახელმწიფოებთან, გარდა საქართველოსი. ამით ქართულ საზოგადოებას უღრმავებდა "მარტოობისა" და "გამონაკლისობის" განცდას, რაც რუსეთისთვის კარგი ფლიქოლოგიური ზეწოლის აპრობირებული საშუალებაა. მეორეს მხრივ კი, დსთ-ს წევრი ქვეყნებისთვის არის მაგალითი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ფონზე სხვა სახელმწიფოები მეტად ლოიალურნი არიან რუსეთის მიმართ (ჩიტაძე, 2011). აქვე საინტერესოა ქართული ნარატივი, თუ როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა 2008 წლიდან დღემდე. "ქართული დაუმორჩილებლობის" პირობებში და ორი მთავრობის; "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" ფარგლებში, შეიცვალა თუ არა რუსული გეოპოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. ანდრეი მაკარიჩევი გამოყოფს ოთხ პერსპექტივას; პირველი ესაა გეოპოლიტიკური ნარატივი სადაც საქართველო პოზიციონირებს როგორც "პროდასავლური" სახელმწიფო. შემდეგია ბიოპოლიტიკური ნარატივი რომელიც საქართველოს მოიხსენიებს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტს. ამ ნარატივის გაძლიერება დაკავშრებულია აშშ-ს მიერ დაფინანსებულ ლუგარის ლაბორატორიასთან, რომელიც მდებარეობს თბილისში. შემდეგი ნარატივი საქართველოს აღწერს, როგორც რუსეთის იმპერიული მემკვიდრეობის ნაწილს, რომელმაც გადაუხვია სწორი გზიდან. და ბოლოს რუსულ-ქართული ურთიერთობა განხილულია რელიგიური პერსპექტივით, სადაც ორივე სახელმწიფოს მხრიდან უნდა ხდებოდეს უმცირესობათა დაცვა, მულტიკულტურალიზმი და სექსუალური ემანსიპაცია. ცალსახაა, რომ ზოგიერთი ნარატივი ერთმანეთს უპირისპირდება, ამდენად რუსეთში არ არსებობს ერთიანი დისკურსი საქართველოსთან მიმართებაში. მაგრამ ყველაზე უკეთ რუსული გეოპოლიტიკური გეგმები ჩვენი ქვეყნის მიმართ ასახულია თანამედროვე რუსი

პოლიტიკური მოღვაწეების ნააზრევში. (Meister, 2021) სწორედ ამიტომ ნაშრომში განხილული იქნება თანამედროვე რუსული პოლიტიკის წარმომადგენლები; ალექსანდრ დუგინი, მაქსიმ შევჩენკო, ანდრეი ეპიფანცევი, ვლადიმერ ჟირინოვსკი და ვლადიმერ პუტინი.

"ეს ადამიანები არიან იდეოლოგები, ისინი ქმნიან რუსულ გეოპოლიტიკურ ხედვას, რომლებიც აქტუალურები არიან თავიანთ ქვეყანაში და არამარტო". (რესპოდენტი N1; 10.06.2022)

აქედან, რუსი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და სტრატეგისტი ალექსანდრე დუგინის შეხედულებები განსაკუთრებული ანტი-დასავლური და ფაშისტური შეხედულებებით გამოირჩევა. დუგინის მოსაზრებით, რუსეთის მთავარი ამოცანაა "ევრო-აზიული იმპერიის" შექმნა, რომლის დახმარებითაც დასავლური სამყაროს, კერძოდ აშშ-ს წინააღმდეგ გაბრძოლება შესაძლებელი იქნება. განსაკუთრებით საგულისყუროა მისი წიგნი "გეოპოლიტიკის საფუძვლები", რომელიც 1997 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც საქართველოს დანაწევრებას პროგნოზირებს (Horvath, 2008) დუგინი აქტიურად ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და კომენტირების უფლებასაც ხშირად აძლევს თავს. ამდენად მისი შეხედულებები და მისი როლი, რუსული გეოპოლიტიკის ფორმირებისას კვლავაც აქტუალურია. რაც შეეხება მაქსიმ შევჩენკოს, ის არის რუსი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. შევჩენკო თავის თავს იმპერიალისტად არ თვლის თუმცა ნათლად აფიქსირებს აზრს, რომ ვერასდროს შეეგუება სსრკ-ს დაშლას და ასევე წინააღმდეგია ნატოსა და რუსეთის თანამშრომლობის (Smagin, 2014). შევჩენკო მხარს არაერთ სამხედრო მოქმედებას უჭერდა, მაგალითად 2014 წელს უკრაინაში. დუგინის მსგავსად შევჩენკოს იდეებშიც გამოსჭვივის ფაშისტური მისწრაფებებით. მაგალითად, 2015 წელს, სანქტ-პეტერბურგში რუსულ კონსერვატიულ ფორუმზე ფაშისტური პარტიების მონაწილეობა დაამტკიცა და განაცხადა, რომ რუსეთი ყველა პოლიტიკურ ძალას აძლევს პოლიტიკურ პლათფორმაზე გამოსვლის საშუალებას. შევჩენკოს ხშირად უწოდებენ "ფანატიკოსს", "კანიბალს" და პროვოკატორს". ამ ყველაფრის ფონზე, საინტერესოა მისი დამოკიდებულება დღევანდელი მთავრობის მიმართ, რომელთაც 120%-ით ქართველებს უწოდებს. ხოლო საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული

გაუგებრობების მიზეზად გეოპოლიტიკური ხასიათის შეთქმულებას ასახელებს (ШЕВЧЕНКО: РОССИЯ БОРЕТСЯ НЕ С ФАШИЗМОМ, А С ЛИБЕРАЛ-ФАШИЗМОМ, 2015). ჩვენს საკვლევ ობიექტს წარმოადგენს, რუსი პოლიტიკოსი, რლდპ-ის ლიდერი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ ჟირინოვსკიც. ვლადიმერ ჟირინოვსკი საინტერესო აქტორია მისი მოღვაწეობის ფართო სპექტრის გათვალისწინებით. გარდა ამისა გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი წიგნი, მათ შორის საკუთარი 100 ტომეული "პოლიტიკური კლასიკა" (novosti, 2021). ჟირინოვსკის პოლიტიკურ განცხადებებს თუ გადავხედავთ შევამჩნევთ, რომ ისიც აშკარა იმპერიული მისწრაფებებით გამოირჩევა. მაგალითად, მისი შეთავაზება ბელორუსიასთან, რომ შეუერთდეს რუსეთს, ანდაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეის მხარდაჭერა. რაც შეეხება საქართველოს, ჟირინოვსკი მას ექვს ნაწილად დაშლით ემუქრება, ქართველებს მოღალატეებს უწოდებს და რუსეთ-საქართველოს შორის ყველანაირი ეკონომიკური ურთერთობების გაწყვეტის იდეას აფიქსირებს. ამდენად ჟირინოვსკის აშკარა ქართველთმოძულეობა საინტერესო ნარატივების მატარებელია რაც რეალურად საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს ახლო მომავალში. საინტერესოა რუსი პოლიტიკოსების შეხედულებების შესწავლა, ისტორიულ კონტექსტშიც. თუ როგორ აფასებენ ისინი ისტორიულ მოვლენებს. ამ მხრივ თავისებურ ხედვას გვთავაზობენ ანდრეი ეპიფანცევი და ვლადიმერ პუტინი. აღნიშნულ ხედვებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ისტორიკოსების და სხვა პოლიტიკოსების მხრიდან. საინტერესოა, რაში დასჭირთად ქართული ისტორიის გაყალბება და რის აფიშირებას ახდენდნენ ამ ცრუ ფაქტებით. გარდა ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მოღვაწეების შეხედულებებისა საქართველოს მიმართ, საინტერესოა როგორი ასახვა აქვს მათ გამოსვლებს ქართულ მედიაში. ხშირია შემთხვევები, როცა ქართული მედია პლათფორმები აშკარა პოლიტიკური მიკერძოებულობით ხასიათდებიან. როგორც წესი ასეთ ფრაგმენტირებულ გარემოში მარტივია ისარგებლონ ინტერესთა ჯგუფებმა, რათა გაიმარტივონ ქართულ საზოგადოებასთან წვდომა. ისეთ გარემოში სადაც დღითი-დღე მრავლდება რუსული წარმოშობის მედია გამოცემები, მაგალითად "საქართველო და მსოფლიო", "საქინფორმი", "სპუტნიკი" და სხვა, საინტერესოა რა სახით ვრცელდება ზემოთ აღნიშნული ადამიანების შეხედულებები,

და გამოიყენება თუ არა ქართული მედია საშუალებები ამ სუბიექტთა იდეების პროპაგანდისთვის. (გლას, 2020)

კვლევის მიზანი და ამოცანები

რუსულ-ქართული ურთიერთობები ყოველთვის მწვავე საკითხს წარმოადგენდა და არასოდეს დაუკარგავს აქტუალობა. თუმცა აღნიშნული კვლევა მეტად საინტერესოა რამდენადაც შეიცავს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაფიქსირებულ პოზიციებს. მსოფლიოში დღესდღეობით მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რუსული გეოპოლიტიკის ცოდნა. ჩემი მიზანია, შევისწავლო რუსი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეებისს შეხედულებები, და მათზე დაყრდნობით გამოვარკვიო რა ინტერესები აქვს რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში. ცდილობს თუ არა გავლენის სფეროს გაძლიერებას და თუ კი, მაშინ რა ფორმებით ვლინდება ეს დღევანდელობაში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე შესასრულებელი ამოცანებია; სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება დარგის ექსპერტებთან. ასევე, ეპიფანევის, ჟირინოვსკის, დუგინის და შევჩენკოს რელევანტური ინტერვიების შესწავლა, რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ მედია პლათფორმებზე და მათი კონტენტ ანალიზი. ასევე, ჩემი ამოცანაა გავეცნო სამეცნიერო ნაშრომებს, კერძოდ; დუგინის "მეოთხე პოლიტიკური თეორიას", "მრავალპარტიული სამყაროს თეორიას", "გეოპოლიტიკის საფუძვლებს" და ჟირინოვსკის "ეთნოგეოპოლიტიკა". გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, კვლევის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ეპიფანცევის წერილი საქართველოს სიტორიის შესახებ, და პუტინის გამოსვლა, სადაც ასევე საქართველოს ისტორიაზე საუბრობს და არაერთ ცრუ ინფორმაციას ავრცელებს.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ მედიაში გავრცელებული წყაროები; კონკრეტულად ჟირინოვსკის, შევჩენკოს, ეპიფანცევის და დუგინის ინტერვიუები. ძირითადად გამოყენებულია "sputnik-georgia", "მთავარი", "ტაბულა", "ipress", "palitranews", "netgazeti", "რადიო თავისუფლება" და სხვა. ასევე საკვლევი ობიექტია დუგინის "მეოთხე პოლიტიკური თეორია" (2009),

“მრავალპოლარული სამყაროს თეორია” და “გეოპოლიტიკის საფუძვლები”. ასევე ჟირინოვსკის “ეთნოგეოპოლიტიკა” (2014). არსებული წყაროებიდან აკადემიური ნაშრომები გვეხმარება საკითხის თეორიულ და მათი ავტორების მსოფლმხედველობის უკეთ გააზრებაში. რაც შეეხება ინტერნეტ წყაროებს, მათი საშუალებით უშუალოდ საკითხის ირგვლივ რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციებს გავეცნობით რომლლებზე დაყრდნობითაც საბოლოო ჯამში დავადასტურებთ ან ვუარყობთ ჩვენს ჰიპოთეზას. საკვლევი ობიექტია ასევე ეპიფანცევის წერილი “იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე” და პუტინის გამოსვლა 2019 წელს, სადაც საქართველოს ისტორიაზე საუბრობდა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, კვლევის ობიეტს წარმოადგენს დარგის ექპერტები და პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთანაც ჩატარებული იქნება სიღრმისეული ინტერვიუ.

საკვლევი კითხვა

- რა გზით არის შესაძლებელი საქართველოში რუსული კონტროლის შენარჩუნება რუს გეოპოლიტიკოსთა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი კონცეფციების მიხედვით?

ჰიპოთეზა

- რუს გეოპოლიტიკოსთა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაფიქსირებული კონცეფციების მიხედვით, რუსული კონტროლის შენარჩუნება ხისტი და რბილი ძალის კომბინირებული გამოყენებით არის შესაძლებელი.

თეორიული ჩარჩო

“სახელმწიფოს პოლიტიკა მის გეოგრაფიაზე გადის”- ნაპოლეონ ბონაპარტე.

გეოპოლიტიკური იდეები, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში არსებობდა, რამდენადაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების თავისებურებები, ყოველთვის გეოგრაფიით იყო განპირობებული. მართალია ათასობით წლის წინ არსებული მიდგომები თვისებრივად განსხვავდება თანამედროვე გეოპოლიტიკისაგან თუმცა მათ შორის მჭიდრო კავშირია, რამდენადაც სწორედ საუკუნეების წინ არსებულმა თეორიულმა მიდგომებმა დაუდო საფუძველი თანამედროვე გეოპოლიტიკას. ნაშრომის თეორიულ

ჩარჩოს წარმოადგენს გეოპოლიტიკის, სწორედ ეს კლასიკური თეორიული ნააზრევი. გეოპოლიტიკის თეორიის რამდენიმე ნაწილს განასხვავებენ აქედან ჩემს თემას მეტად შეესაბამება სამი; გეოგრაფიული დეტერმინიზმი, სამხედრო-სტრატეგიული და თავდასხმითი რეალიზმის თეორია.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის სათავეები ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ 5-4 საუკუნეებში უნდა ვეძიოთ. სადაც ადამიანსა და გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენაზე სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, თუკიდიდეს, არისტოტელეს და სხვებს. გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეებმა განსაკუთრებული პოპულარობა XVIII-XIX საუკუნეებში მოიპოვა. მაგალითად, შარლ მონტესკიე თავის წიგნში "კანონთა გონი" საუბრობდა, რომ სახელმწიფო წყობის მთავარი განმაპირობებელი კლიმატის თავისებურებები იყო. რაც შეეხება უფრო ახალ გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ვითარდება, როცა დედამიწის ზედაპირი თითქმის მთლიანად შესწავლილი იყო და გეოგრაფიული დეტერმინიზმის წარმომადგენლები თავიანთ ნაშრომებში სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულების ახსნას გეოგრაფიული ფაქტორებით ცდილობდნენ. სწორედ ამ ნაშრომებში წარმოდგენილი თეორიები დაედო საფუძვლად გეოპოლიტიკას:

- სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკაზე ბუნებრივი გარემოს და გეოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედების შესახებ;
- გეოგრაფიული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გავლენა სახელმწიფოთა სიძლიერეზე; და სხვა.

აღსანიშნავია რომ გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები აისახა ფრიდრიხ რატცელის და რუდოლფ ჩელენის ნაშრომებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ რუდოლფ ჩელენი ითვლება გეოპოლიტიკის ფუძემდებლად, რამდენადაც მან გამოიყენა პირველად ეს ტერმინი. (მაცაბერიძე, 2015. გვ. 5-6)

- "გეოპოლიტიკა ესაა მეცნიერება სახელმწიფოს როგორც გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ, რომელიც სივრცეშია განსახიერებული". (ჩელენი, 1916)

კლასიკური თეორიებიდან საინტერესოა სამხედრო-სტრატეგიული თეორიაც, რომლის წარმომადგენლებადაც ნიკოლო მაკიაველი, კარლ კლაუზევიცი და ალფრედ მეჰენი ითვლებიან. ჩემი აზრით, მოცემული თეორია ზუსტად აღწერს რუსულ

გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. მაგალითად მაკიაველის თეორია ტერიტორიული ექსპანსიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება ამავე ტერიტორიაზე კოლონიების შექმნით უნდა მოხდეს. ასევე ალფრედ მეჰენის თეორია "საზღვაო ძალის გავლენის" შესახებ, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის მიწების გაკონტროლება და ამ საკითხში განსაკუთრებული მიშვნელობა სწორედ ზღვებს უკავია (მაცაბერიძე, 2015. გვ.7). დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ რევიზიონისტულ ძალად რუსეთი განიხილება, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გლობალური ლიბერალური წესრიგის დამხობა. იმისთვის, რომ რუსეთი გლობალური ძალა გახდეს და კონტინენტურ ძალასთან ერთად საზღვაო ძალაც მოიპოვოს ზღვებზე გასასვლელი სჭირდება. სწორედ ამიტომ ცდილობს დაამყაროს კონტროლი ევრაზიაში და შავ ზღვასა და ბალტიისპირეთს შორის არსებულ რეგიონში. თუმცა ამ გეგმას აფერხებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფნა შავ ზღვასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

არ შეიძლება არ ვახსენოთ რეალისტური თეორია, რომელიც ერთ-ერთი დომინანტური თეორიაა და ადამიანს აგრესორად განიხილავს, როგორც ბუნებით კონფლიქტისკენ მიდრეკილ არსებას. რუსეთის გეოპოლიტიკა შეიძლება ავხსნათ თავდასხმითი რეალიზმით. მაგალითად თავდასხმითი რეალიზმის წარმომადგენელი, მერშაიმერი განასხვავებდა "ჰეგემონის" და "პოტენციური ჰეგემონის" ცნებებს. ამ მიდგომის თანახმად, ჰეგემონი სახელმწიფოები ყველაფერს აკეთბენ იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ თანასწორი ძალების ჩამოყალიბება მიმდებარე რეგიონებში. თავდასხმითი რეალიზმი ძლიერ სახელმწიფოზე ახდენს ფოკუსირებას, რამდენადაც სწორედ ძლიერი სახელმწიფოებს აქვთ პრეროგატივა გავლენა მოახდინონ საერთაშორისო მოვლენებზე. შესაბამისად ჰეგემონი სახელმწიფოს მთავარ მიზანს მისი ძალის მაქსიმალური გაფართოება წარმოადგენს. (ოხანაშვილი, 2018)

ასევე მინდა ვახსენო ჯონ მაკინდერი, რომელმაც უშუალოდ რუსეთის შესახებ განავითარა თეორია; ჯ.ჰ. მაკინდერი რუსეთს "საყრდენ სახელმწიფოს" უწოდებდა, რომელსაც ისეთივე სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა როგორიც მონღოლთა იმპერიას. საინტერესოა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მაკინდერის შეხედულებები დიდწილად ასახავს დღევანდელ საფრთხეს. ის რასაც მაკინდერმა "საყრდენი ზონა"

უწოდა არის ტერიტორია, რომელიც ვრცელდება შავი ზღვიდან ბალტიისპირეთის რეგიონამდე. (Arirban, 2019) თანამედროვე რუსეთში არაერთი გეოპოლიტიკოსი გვთავაზობს ევრაზიული იმპერიის აშენებას, რომელიც სივრცით და სტრატეგიულად გაუმჯობესებული ვარიანტი იქნება საბჭოთა კავშირის. ასევე არსებობს მოსაზრებები, რომ რუსეთის ენერგია ფოკუსირებული უნდა იყოს მისი ტერიტორიის აღდგენაზე. რუსეთის გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარება ბოლო ოცი წლის განმავლობაში სოციალური წესრიგიდანაც კარგად ჩანს. რუსული ელიტა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ცდილობს ჩამოაყალიბოს ახალი პარადიგმა, რომელიც ახსნის რუსეთის პოზიციას და როლს დღევანდელ მსოფლიოში და ასევე დასახავს მომავლის შესაძლო ვარიანტებს. რუსული გეოპოლიტიკა ცდილობს უპასუხოს კითხვას, თუ რა არის დღეს რუსეთი გლობალური პერსპექტივიდან და რა გზა უნდა გაიაროს გასული საუკუნის ბოლოს მომხდარი ტრავმის შემდეგ. პირველ რიგში საჭირო იყო იმ მარშრუტის დადგენა საიდანაც უნდა დაწყებულიყო გაფართოება. მიხაილოვმა (Mikhaylov, 1999) მე-20 საუკუნის ბოლოს აღნიშნა, რომ "იდეოლოგია აღადგენს ქვეყნის ზესახელმწიფოებრივ სტატუსს". რუსული გეოპოლიტიკა და სიძლიერე ყოველთვის ასოცირდებოდა დიდი ფართობის კონტროლზე, ამიტომ არ არის გასაკვირი როცა ჩვენ პრაქტიკულ პოლიტიკაში ვხვდებით ძლიერ სივრცულ აქცენტს, რომელიც რუსული ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას და მისი პოზიციების განმტკიცებას ისახავს მიზნად, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში ასევე ევრაზიაში და მთლიანად მსოფლიოში. დუგინის აზრით (1997) რუსეთის ამჟამინდელი ფედერაცია მხოლოდ დროებითი სამსახურია სწრაფად ცვალებად გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესში. ამდენად რუსეთი კვლავ დგას დიდი ამოცანის წინაშე; აღიდგინოს ძველი საზღვრები და არ დაკარგოს მისი გეოგრაფიული ბირთვი, რომელიც გადის დუნაის შესართავიდან შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ყირიმის ჩათვლით. ასევე მოიცავს აღმოსავლეთ უკრაინას და ცენტრალურ რუსეთს. ამდენად რუსეთის, როგორც გლობალური ძალის სტატუსის აღდგენა ბირთვის ტერიტორიული უწყვეტობის განახლებას უკავშირდება. რუსი ზოგიერთი ავტორის აზრით საჭიროა ახალი ევრაზიული იმპერიის აშენება, რომელიც სივრცით და სტრატეგიულად აჯობებს წინა ვერსიას, საბჭოთა კავშირს. "ახალი იმპერია უნდა იყოს ევრაზიული და დიდი კონტინენტური მსოფლიო

პერსპექტივა". (Dugin, 1997) ასეთი მსჯელობა შეესაბამება თეზისს, რომ რუსული ექსპანსია ნებისმიერ რაციონალურ საერთაშორისო ვითარებაში უნდა განხორციელდეს. რუსეთი უნდა გაფართოვდეს ან დაიღუპოს. (Istok, R., Plavcanova, D., 2013)

შერჩევა და მეთოდოლოგია

ნაშრომი მომზადებულია თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, რამდენადაც ის საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა. მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ისიც, რომ კვლევის თვისებრივი მეთოდი უფრო მოქნილია და გარკვეულწილად მეტ თავისუფლებას ანიჭებს მკვლევარს საკითხის ინტერპრეტირებისას. თემაზე მუშაობის პროცესში გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებობს. ეს მიდგომა, კიდევ უფრო რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს. ასევე დამუშავდა და გაანალიზდა, როგორც პირველადი ასევე მეორადი წყაროებიც; სტატიები და ინტერვიუები რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ ელექტრონულ მედია სივრცეში. ჰიპოთეზის გადასამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს სიღრმისეულ ინტერვიუს ექსპერტებთან და დარგის სპეციალისტებთან, რომელთაც გააჩნიათ კომპეტენცია გააანალიზონ რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციები და რუსული გეოპოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. საკითხი საკმაოდ სპეციფიურია რაც განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს, ამიტომ კვლევის პროცესში ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუებისთვის რესპოდენტები არაალბათური გზით, კერძოდ მიზნობრივი შერჩევით შეირჩნენ, რადგან მიღებული ინფორმაცია ყოფილიყო მეტად კონმპეტენტური და რეპრეზენტატული. სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოყენებული იქნება ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი, რადგან საჭროების შემთხვევაში შევძლოთ დამატებითი კითხვების დასმაც. რაც შეეხება, დუგინის, ჟირინოვსკის, შევჩენკოს, ეპიფანცევის და პუტინის კონცეფციების კვლევისთვის გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, რამდენადაც ეს ნაწილი მოითხოვს შინაარსობრივ ანალიზს.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში, მისი გეოგრაფიული ფაქტორი უმნიშვნელოვანესია. ამდენად რუსული ინტერესის სფეროს საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობაც წარმოადგენს. ორი სახელმწიფოს პოლიტიკური გადაკვეთის კვლევისათვის პუტინი, დუგინი, ჟირინოვსკი, შევჩენკო და ეპიფანცევი ავარჩიე, რომლებიც, თანამედროვეთაგან ყველაზე მეტად გამოხატული იმპერიული ღირებულებებით და საინტერესო მიდგომებით გამოირჩევიან. დუგინი ითვლება ყველაზე აგრესიული რიტორიკის "ევრაზიონისტად", რომლის მიმდევართა აზრითაც, რუსეთი ეს არც აზიაა და არც ევროპა. ამიტომ რუსეთი თავის მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად უნდა გაერთიანდეს და საერთო ეკონომიკური თუ პოლიტიკური კურსი აწარმოოს. ევრაზიული იმპერია კი საბოლოო ჯამში დაამარცხებს მის მთავარ მტერს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაც იქნება დასასრული ანტილიბერალური ოქროს ხანის. (ბრაგვაძე, 2021)

ჩვენი საკვლევი ლიტერატურის პირველ ნაწილს წარმოადგენს დუგინის ნაშრომები, მათ შორის "მრავალპოლარული სამყაროს თეორია", "მეოთხე პოლიტიკური თეორია" და "გეოპოლიტიკის საფუძვლები". მოცემული წიგნები გვეხმარება უკეთ გავეცნოთ დუგინის მსოფლმხედველობას და გავიაზროთ რა პერსპექტივაში უყურებს იგი რუსეთის იმპერიალიზმს. ნაშრომში "მეოთხე პოლიტიკური თეორია" დუგინი გვესაუბრება ახალ იდეოლოგიაზე, რომელიც უნდა გასცდეს ლიბერალიზმს, კომუნიზმს და ფაშიზმს. დუგინის აზრით ყველა ეს იდეოლოგია თანამედროვე ევროპის იდეოლოგიებს მიეკუთვნება, სადაც ლიბერალიზმმა დაამარცხა ფაშიზმი და კომუნიზმი მაგრამ თავად საკუთარი თავიც ამოწურა. დუგინი ლიბერალიზმს უწოდებს ტოტალიტარული ბუნების მატარებელს და მასთან დაბრუნებას არ მიესალმება. აქვე გვთავაზობს მეოთხე იდეოლოგიას, რომელიც დააკავშირებს თანამედროეობას ტრადიციასთან (Дугин, 2009). რის ინტერპრეტირებასაც, მოგვიანებით შემდეგნაირად ახდენს; "როგორც მარადიული და არა როგორც წარსული" (Дугин, 2017). ასევე საინტერესოა დუგინის "ათი თეზისი", არ შემიძლია არ აღვნიშნო, მისი სურვილი დაემკვიდრებინა ახალი "ათი მცნება", რომელშიც ის სხვადასხვა იდეოლოგიების ავ-

კარგობაზე გვესაუბრება. აქედან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რუსეთის მისიის საკითხი. დუგინის თქმით რუსეთი უნდა გახდეს "დიდი გამოღვიძების" პოლუსი, რომელიც, რა თქმა უნდა, ლიბერალიზმისკენ იქნება მიმართული და რომელიც იქნება ერთი გლობალისტური იმპერიის წარმოშობის საწინდარი. რა საკვირველია, ეს რუსების და ამ შემთხვევაში კონკრეტულად დუგინის ამბიციაა. სხვანაირად რითი ავხსნათ ის სურვილი, რომ მაინც და მაინც რუსეთი უნდა იყოს მთავარი დიდი იმპერიის ცენტრი?! როცა მისი საერთო შიდა პროდუქტი დიდად ჩამოუვარდება ჩინეთისას, და საუბარიც არ მაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებზე. რუსეთის განუვითარებელი ეკონომიკისათვის, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები თუ სხვა, დამატებითი პასუხიმსგებლობებია ვიდრე მათთვის სარგებელი, თუმცა იმდენად დიდია ლიბერალური დოქტრინის წინააღმდეგ დუგინის ზიზღი, რომ ამაზე უბრალოდ აღარც უფიქრია. (Dugin, 2021) რაც შეეხება "გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკურ მომავალს", მისი განხილვა საინტერესო იყო თეორიულ ჩარჩოზე მუშაობისას. თეორიულ ჩარჩოში განხილული მაქვს მაკინდერის თეორია, რომლის მიხედვითაც რუსეთი "heartland-ს" წარმოდგენს, მაკინდერის ეს ხედვა განვითარებული აქვს დუგინს თავის წიგნში. დუგინს რუსეთი წარმოდგენილი აქვს, როგორც ორ კონტინენტზე გადაჭიმული სივრცე რომელიც მსოფლიოს გეოგრაფიულ ღერძს წარმოადგენს. თუმცა დუგინის აზრით რუსეთი სსრკ-ს დაშლის შემდეგ გეოპოლიტიკურ აფსურდს წარმოადგენს, რომელსაც თავი ან უნდა დააღწიოს ან უბრალოდ გაქრება ისტორიიდან. მაგრამ, ვინაიდან და რადგანაც რუსეთს უკვე გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილი უკავია მისი ვალდებულებაა შეინარჩუნოს და გააფართოვოს ის. ამ ამოცანის შესასრულებლად, რა საკვირველია ეტაპობრივი ექსპანსიაა აუცილებელი. დუგინისვე მოსაზრებით ეს რუსეთისთვის უცხო არც არის, რამდენადაც რუსეთმა არსებობა დაიწყო როგორც იმპერიამ და ეს პროცესი უწყვეტი იყო ბოლო სამასი წლის მანძილზე ამდენად მან უნდა გააგრძელოს თავისი "გეოპოლიტიკური მისიის" შესრულება. დუგინის თქმით სსრკ-ს დაშლით რუსეთმა შეწყვიტა ბუნებრივი ზრდა და ორ გამოსავალზე გვესაუბრება; პირველის მიხედვით რუსეთმა უარი უნდა თქვას მორალურ ვალდებულებაზე რომლის

მიხედვითაც “გეოგრაფიულ ღერძს” წარმოადგენს ან მიმართოს ექსპანსიას. (დუგინი, 1999)

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე საჭროა გავეცნოთ სხვადასხვა სტატიებსა თუ ინტერვიუებს, სადაც ნათლად ჩანს დუგინის პოზიცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით. საინტერესოა “ტაბულას” და “რადიო თავისუფლების” მიერ გამოქვეყნებული სტატიები სადაც გადმოცემულია დუგინის შეფასება, თუ რას ფიქრობს ის ივანიშვილის მმართველობაზე და საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობაზე; “2008 წელს თბილისში რომ რუსული ტანკები შეგვეყვანა, სიტოაცია ისეთივე იქნებოდა როგორიც არის დღეს, ივანიშვილის პირობებში.” (ტაბულა, 2020) ეს სიტყვები პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ რუსი გეოპოლიტიკოსი კმაყოფილია დღევანდელი პოლიტიკური კურსით. რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უფრო და უფრო ვუახლოვდებით რუსეთს, თუმცა ამას ხმამაღლა არავინ აღიარებს. რუსეთთან ინტეგრაცია ნელ-ნელა და შეფარდვით ხორციელდება. ამის მაგალითია ვაჭრობის გაფართოება თუ რუსული კომპანიების მომრავლება საქართველოში. რუსეთი დღითიდღე უფრო მრავალფეროვანს ხდის, ბრძოლის საშუალებებს და ხისტ ბერკეტებთან ერთად, როგორიცაა ტერორი საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ თუ მცოცავი ოკუპაცია, მიმართავს “რბილ ძალას” რისი დასტურიცაა დუგინის ინტერნეტბლოგი “დუგინის ექსპერტიზა”. რაც შეეხება “რადიო თავისუფლების” სტატიებს, ერთ-ერთ მათგანში საუბარია, ქართველი ბიზნესმენის, ლევან ვასაძის და დუგინის შეხვედრებზე. რასაკვირველია რუსეთი, პერმანენტულად ცდილობს მოიძიოს ისეთი ქართველი ადამიანები, რომლებიც ქვეყნის შიგნით, რუსული ინტერესების გამტარებლად მოგვევლინებიან. სწორედ ასეთი ადამიანია ლევან ვასაძეც, რომელიც განმარტავდა, რომ “საქართველოს ერთიანობისათვის, აუცილებელია რუსებთან ღირსეული დიალოგის წარმართვა” (რადიო თავისუფლება, 2021). ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლევან ვასაძის მტკიცებით, მან ალექსანდრ დუგინს წარმოდგენები შეაცვლევინა საქართველოზე. ამის დასტურად ის გვირჩევს მოვიძიოთ; როგორი იყო დუგინის შეხედულებები 2015 წელს და როგორი იყო 2016 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც მან ლ.ვასაძე გაიცნო. თუმცა თუ გადავხედავთ დუგინის გამოსვლებს, მისი

პოზიცია დიდად არ იცვლება, და დუგინი საქართველოს მთლიან ანექსიასაც გვიწინასწარმეტყველებს. (მაცაბერიძე, 2021)

გარდა დუგინისა, საკვლევ ლიტერატურას წარმოადგენს ვლადიმერ ჟირინოვსკის "ეთნოგეოპოლიტიკა", რომელშიც წარმოდგენილია თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ეთნოგეოპოლიტიკური მოდელი, რუსეთის როლი, როგორც აღმოსავლური ქრისტიანული მართმადიდებლური ცივილიზაციის გენერაციული და პოლიტიკური ცენტრი. (ჟირინოვსკი, 2014) აღნიშული ნაშრომიც დაგვეხმარება უკეთ აღვიქვათ ავტორის განწყობები. რაც შეეხება უშუალოდ საკვლევი თემის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ქართულ მედია წყაროებზე, რომლებშიც წარმოდგენილია ჟირინოვსკის და შევჩენკოს გეოპოლიტიკური ხედვა. ძირითადად გამოყენებულია "sputnik-georgia", "მთავარი", "ტბულა", "ipress","imedinews", "palitranews", "netgazeti" და სხვა. საინტერესოა ჟირინოვსკის თეორიების მიმოხილვა, რომელიც საქართველოსთან მიმართბაში დააფიქსირა 2008 წლის შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ჟირინოვსკის რიტორიკა განსაკუთრებული სიძულვილის ენით ხასიათდება. ჟირინოვსკი არ ერიდება ისეთი განცხადებების გაკეთებას, როგორიცაა; "დაე მთელი საქართველო მოკვდეს", "ან მთელი საქართველო უნდა აიღო, ან ეშმაკსაც წაუღია ყველა", "სრულიად შემთხვევით ერთი რაკეტა არა ვაზიანში, არამედ პირდაპირ ქალაქ თბილისში ჩავარდება" და სხვა. ჟირინოვსკის თქმით სამხრეთ კავკასიის ტერიტორია რუსეთს ეკუთვნოდა, რომელიც საუკუნეების წინ გამოეყო მას. ამდენად ჟირინოვსკის რიტორიკიდან შესაძლოა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ "საქართველო ყოველთვის რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა". (მაცაბერიძე)

აქვე უნდა აღვნიშნო მაქსიმ შევჩენკოს შეხედულებებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით. შევჩენკო ფიქრობს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის გეოპოლიტიკური შეთქმულება მიმდინარეობს, რაშიც დასავლეთს, კონკრეტულად ამერიკის შეერთებულ შტატებს ადანაშაულებს. მისივე აზრით კავკასიაში ევროკავშირს და აშშ-ს არაფერი ესაქმებათ და ამ რეგიონში ვითარება თურქეთმა, რუსეთმა და ირანმა უნდა გააკონტროლონ. ასევე შევჩენკოს აზრით ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ არეულობების ჯერი საქართველოზე მოდიოდა. ერთ-ერთ ძალიან შემაშფოთებელ და საიტნერესო თეორიასაც წარმოადგენს შევჩენკოს მოსაზრება, რომ

საქართველო რუსეთის გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი სახელმწიფო. (Shekeladze & Kintsurashvili, 2020)

ასევე ჩვენი თემისთვის საინტერესო საკვლევ წყაროებს წარმოადგენდა პუტინის გამოსვლა 2019 წელს, სადაც საქართველოს ისტორიაზე საუბრობს და რომელსაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა სხვადასხვა პოლიტიკოსების თუ ისტორიკოსების მხრიდან. ამ მხრივ ასევე საინტერესოა ეპიფანცევის წერილი საქართველოს ისტორიის შესახებ. ისტორიულ რაკურსზე უფრო ვრცლად მეორე თავში ვისაუბრებ, ამიტომ ამ ნაწილში მას მეტად აღარ შევეხები.

თავი I. საქართველოს “დაშლის” იდეა რუსულ გეოპოლიტიკაში

გავრცელებული მოსაზრებით, საშინაო პოლიტიკას მმართველი პარტიის მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, ხოლო საგარეო პოლიტიკას ეროვნული ინტერესები. რადგანაც ეროვნული ინტერესები საზოგადოების უმრავლესობას გამოხატავს, მთავრობის შეცვლა - საგარეო პოლიტიკის ცვლილებას არ იწვევს, თუმცაღა მისი ტაქტიკა, მეთოდები თუ ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს. რუსეთის ეროვნული ინტერესები, როგორც იმპერიული სახელმწიფოსი, რომელიც XVIII საუკუნიდან არსებობს, ტერიტორიულ გაფართოებას და გარშემო არსებული ტერიტორიების საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას გულისხმობს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელსაც რუსეთში გეოპოლიტიკურ კატასტროფად თვლიან, ქვეყნის მთავარ ეროვნულ იტნერესად, როგორც უკვე აღვნიშნე ძველი დიდების დაბრუნება იქცა. ამ დიდების გზაზე რუსეთს, თანამედროვე სამყაროში ნატო და ევროკავშირი ეღობება. ამიტომ, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არ დაუშვას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასავლური ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი უკრაინის, მოლდოვის და საქართველოსი. კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის პოზიცია ასეთია, რომ მან უარი უნდა თქვას ევროინტეგრაციაზე, აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და დაუბრუნდეს რუსულ სივრცეს. ამ შემთხვევაში დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა და საქართველოს სეპარატიზმის საფრთხე აღარ დაემუქრება. თუმცა ბისმარკის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ; “რუსეთის დაპირებას მხოლოდ ის ფასი აქვს რაც იმ ფურცელს, რომელზეც ეს დაპირებაა დაწერილი”. (დავითაშვილი, 2015) ამის დასტურად გამოდგება ის განცხადებებიც, რომელიც საქართველოს დანაწევრების შესახებ არაერთხელ გაჟღერებულა თანამედროვე რუსი პოლიტიკური მოღვაწეებისაგან. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა საქართველოს “პატარა იმპერიად” განიხილავენ, დაწყებული ანდრეი სახაროვიდან, რომელიც ამ ფრაზის ავტორია, და დამთავრებული დუგინით, რომელიც იგივე ფრაზას იმეორებს, რომ “საქართველო მცირე იმპერიაა” და მასში შედიან აჭარლები, სომხები, აზერბაიჯანელები, მეგრელები და სხვა. 17 ტომისგან შემდგარ სახელმწიფოს უწოდებდა ალექსანდრე მიტროფანოვი და ამაზე დაყრდნობით

საქართველოს სრულიად გაქრობას ემხრობოდა. ხოლო მის ადგილას "კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანება" უნდა შექმნილიყო სადაც აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი და ჯავახეთი ნებაყოფლობით ან შევიდოდნენ ან არა. ამ ყველაფერს კი რუსეთის მხრიდან მხარდაჭერა სჭირდებოდა. (მაცაბერიძე, 2021)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადად, საქართველოს დანაწევრების გეგმა ჯერ კიდევ 1985-1986 წლებში არსებობდა, რომელიც გორბაჩოვმა და ლუკიანოვმა შეიმუშავეს. ამ გეგმას კი მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკების წაქეზებით ახორციელებდნენ. ამდენად დიდი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია თუ რა საგარეო პოლიტიკას ირჩევდა საქართველო. რუსეთი მაინც, თავისი ეროვნულ ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. 1988 წლიდან საქართველოში "ეროვნული მოძრაობა" რომ არც დაწყებულიყო და არც ზვიად გამსახურდია გამხდარიყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რუსეთის მზაკვრული გეგმა მაინც განხორციელდებოდა, რომელიც საქართველოს ოთხ ნაწილად დაშლას ითვალისწინებდა. (მერიდიანი, 1999)

1.1 ჟირინოვსკი საქართველოს დანაწილების შესახებ

ვლადიმერ ჟირინოვსკი ყოველთვის გამოირჩეოდა ემოციური და მკვეთრი განცხადებებით. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში შეგვიძლია გავიხსენოთ არაერთი სკანდალური ინციდენტი, მაგალითად როგორიცაა; ოპონენტისთვის პირდაპირ ეთერში წვენის შესხმა თუ მოსკოვში გამართული საპროტესტო აქციის დროს მომიტინგეზე თავდასხმა. ჟირინოვსკი არაერთხელ გამოსულა უცნაური ინიციატივებით მაგალითად, როცა განაცხადა, რომ კორონავირუსის ვაქცინა პატიმრებზე უნდა გამოეცადათ. მეტიც, ვაქცინის თემატიკა საკუთარი საპრეზიდენტო არჩევნების პიარ კამპანიაშიც კი ჩართო სადაც პირობას იძლეოდა, რომ 2024 წელს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში თანახმა იყო ნებისმიერი პრეპარატი მასზე გამოეცადათ. როგორც წესი, პროპაგანდისტული განცხადებები ყოველთვის არის სიმართლეს მოკლებული, თუმცა ამას ჩვენ ვეღარ გავიგებთ მართლა დებდა საცდელ თაგვად ჟირინოვსკი თავს თუ არა. გარდა ამ უცნაური და კომიკური ინიციატივებისა, ჟირინოვსკის ახასიათებდა თავშეუკავებელი მიმართვებიც. მაგალითად 2003 წელს მიმართვა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ

ბუშისადმი, სადაც რუსი პოლიტიკოსი ერაყის ომს გმობდა. ჟირინოვსკის ხისტი რიტორიკა უცხო არ ყოფილა საქართველოსთან მიმართებაშიც. მეტიც, ხშირად აღუნიშნავთ, რომ ჟირინოვსკი ქართველთმოძულეობით გამოირჩეოდა და ეს, მისი სიძულვილის შემცველი განცხადებებითაც დასტურდება. მაგალითად, როცა არალეგალი ქართველების გასახლებაზე და ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტაზე საუბრობდა; "უნდა შევწყვიტოთ ენერგიის მიწოდება, ავკრძალოთ ფულადი გზავნილები რუსეთიდან საქართელოში, უნდა დავიწყოთ რუსეთში ქართველი მეწარმეების ტოტალური შემოწმება და გავასახლოთ ყველა არალეგალი". ამავე ინტერვიუში ჩანს, რომ ჟირინოვსკიმ ქართველები უმადურებად გამოიყვანა და მიუხედავად იმისა, თუ როგორ იცავდა რუსეთი ჩვენს სამშობლოს საუკუნეების განმავლობაში, ქართველი ხალხი აგრძელებდა აბუნტებას (Paqtebi.ge, 2019). ასევე საინტერესოა 2019 წელს ვლადიმერ ჟირინოვსკის მიმართვა სადაც საქართველოს პირდაპირ ემუქრება, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართევლო ამერიკულ თვითმფრინავებს ქართული აეროდრომების, ანუ ყოფილი საბჭოთა აეროდრომების, გამოყენების საშუალებას მისცემს ირანის დასაბომბად, შემთხვევით ერთი რაკეტა თბილისში ჩავარდება. (paqtebi.ge, 2019)

"ჟირინოვსკი პოლიტიკოსი იყო წლების განმავლობაში, რომელიც დაუმალავად აცხადებდა ყველაფერს". (რესპოდენტი N2; 13.06.2022)

"საინფორმაციო ომი დისკურსებით მიმდინარეობს. კრემლის აგენტურა რაღაც თემების გაცოცხლებას ცდილობს. მაგ: რუსეთი ჩვენი წმინდა ძმაა და დასავლეთი ლგბტ-ია… იგივე დატვირთვა აქვს ჟირინოვსკის. მას უნდა ეცოცხლებინა სამხედრო ნარატივი ძლიერ რუსეთზე, რომელიც იმას მოიქმოდებდა რაც უნდოდა. ჩემი აზრით, ჟირინოვსკი დისკურსის შემომტანია ვიდრე რეალური მილიტარისტული მოაზროვნე და მომხრე". (რესპოდენტი N1; 10.06.2022)

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჟირინოვსკი საქართველოს ექვს ნაწილად დაშლით ემუქრებოდა. ბევრი თვლის, რომ მას, რუსულ პოლიტიკაში განსაკუთრებუბლი როლი ჰქონდა. როგორც წესი, "არაოფიციალური ხაზით" მუქარების გასავრცელებლად იყენებდნენ. შესაბამისად, ჟირინოსვკი ამბობდა იმას, რასაც ბორის ელცინი ვერ იტყოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს დანაწევრების გეგმა ჯერ

კიდევ 1985-1986 წლებში არსებობდა, რომელიც საქართველოს ოთხ ნაწილად დაშლას ითვალისწინებდა, ხოლო ჟირინოვსკიმ კიდევ ორი; სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი დაუმატა. 1999 წლის "მერიდიანში" გამოქვეყნებულ სტატიაში ჟირინოვსკის მუქარას "საქართველოს ექვს ნაწილად დანაწევრების" შესახებ იმ შემთხვევაში თუ საქართველო საკუთარი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოინდომებს, ბლეფს უწოდებენ, რამდენადაც საქართველოს მთლიანობას სწორედ ეს ჯარი უშლის ხელს და არამცთუ საქართველოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, არამედ დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის. აქვე აღნიშული იყო, რომ ჟირინოსვკი თავის პოზიციას საქართველოს დანაწევრებასთან დაკავშირებით არასოდეს შეიცვლიდა, მიუხედავად იმისა საქართველო რა საგარეო პოლიტიკურ გზას აირჩევდა. (მერიდიანი, 1999)

"ჟირინოვსკის უფრო იუმორისტულ ჭრილში იყენებდნენ. რაიმე საკითხზე მსჯელობისასაც, როგორც წესი მას არ მოიხსენიებდნენ როგორც ავტორიტარულ წყაროს, ამიტომ თითქმის არავინ იმოწმებდა მას". (რესპოდენტი N1; 10.06.2022)

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ჟირინოვსკი გამოირჩეოდა თავისი გამომწვევი ქმედებებით. ერთ-ერთი ამის მაგალითი 2004 წელს მომხდარი შემთხვევაა, როცა ჟირინოვსკი გაგრაში კატარღით ჩავიდა და საქართველოს ტერიტორიული წყლები დაარღვია, რის გამოც ქართველი მესაზღვრეებისგან რამდენჯერმე გაფრთხილებაც მიიღო თუმცა მის კატარღას სვლა არ შეუჩერებია. ქართული მხარე პროვოკაციაზე არ წამოეგო და სიტოაციამ დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. (civil.ge, 2004) 1999 წლის დაშვება, რომ ჟირინოვსკი საქართველოსთან მიმართებით პოზიციას არასოდეს შეიცვლიდა, დასტურდება 2019 წელს ჟირინოვსკის მიერვე გამოქვეყნებულ პოსტში, რომელიც თავის Twitter-ის გვერდზე დაწერა და რომელშიც აცხადებს, რომ 2008 წელს თბილისის აღება აუცილებელი იყო, და რომ რუსეთი საქართველოსთვის არცერთ წვეთს აღარ დაღვრიდა, "დაე, მთელი საქართველო მოკვდეს". ჟირინოვსკის პოლიტიკური ფიგურა ბევრისთვის კომიკურიც კია, რამდენადაც მისი ემოციური განცხადებები მას ეპატაჟურად აქცევს. 2014 წელს ჟირინოვსკი, საკუთარ სურვილს რომ საქართველოს არსებობა შეეწყვიტა, როგორც დამოუკიდებელ თვითმყოფად სახელმწიფოს უცნაურ ფორმულირებას უძებნის და ქართველებს აბრალებს რუსეთის გაღმერთებას და რომ საქართველო, სხვა პოსტ საბჭოთა სახელმწიფოებთან ერთად

ოცნებობს რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე. (Reportiori.ge, 2014) რუსეთის "ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი ნეგატიურ კონტექსტში არამხოლოდ საქართველოს, არამედ ქართველ პოლიტიკოსებსაც მოიხსენიებდა. განსაკუთრებით კი, მაქსიმ შევჩენკოს მსგავსად, მიხეილ სააკაშვილის. 2020 წელს ჟირინოვსკიმ საკუთარი Twitter-ის გვერდზე პოსტი დადო, სადაც მიხეილ სააკაშვილს მოსკოვში ჩასვლას და ქართულ რესტორანში დროის ტარებას ურჩევს, რადგანაც მის საქართველოში გამარჯვებას აზრი აღარ აქვს. "საქართველოში უკვე ცუდია: აფხაზეთი თქვენი აღარ არის, სამხრეთ ოსეთი თქვენი აღარ არის, მალე დაკარგავთ ბათუმსაც, და საბოლოოდ აღმოჩნდებით კავკასიის დიდ ომში ჩართულები". (ინტერპრესნიუსი, 2020)

1.2 დუგინი "აგვისტოს ომის შემდგომი რეალობის" აღიარების შესახებ.

საქართველოს დაშლის და დანაწევრების შესახებ მოსაზრებებს ავრცელებს რუსი სტრატეგი და ფილოსოფოსი, ბევრის აზრით პუტინის "სულიერი ლიდერი" ალექსანდრე დუგინიც. დუგინის მიხედვით რუსული ეროვნული ინტერესებიდან, მთავარი მის შორიახლოს ამერიკული ბაზების არ არსებობაა. მაშინ, როცა რუსეთი დსთ-ს სივრცეში საკუთარი გავლენის აღდგენისთვის იღწვის, ამ ტერიტორიაზე ამერიკული გავლენის დამყარება პირდაპირ რუსეთის მარცხს გულისხმობს. ამიტომაც რუსეთი იბრძვის ბელორუსში, უკრაინაში და საქართველოში გავლენის შენარჩნებისთვის. (GHN, 2010) დუგინი აღიშნავდა, რომ მაშინ როცა საქართველოში ატლანტიკური გავლენა ძლიერდება, რუსეთი რეაგირებას ახდენს ისე, როგორც შეუძლია. "ომი უკანასკნელი საშუალებაა, მაგრამ ამერიკული ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე უარესია, ვიდრე ომი საქართველოსთან" (Дугин А. , 2009) ამდენად, გამოუვალ მდგომარეობაში, როცა რუსეთი ყველაზე მეტად გრძობს საფრთხეს, ყველაფერზეა წამსვლელი და ამ პროცესში საქართველოს, რა თქმა უნდა, დანაწევრების საფრთხეც ემუქრება. მითუმეტეს მაშინ, როცა ევრაზიონისტული იდეის წარმომადგენლები და მათ შორის დუგინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ ცნობს. დუგინი აღნიშნავს, რომ ევრაზიონიზმის იდეა კოლონიზაციას ან ომს არ მოიაზრებს. ეს გულისხმობს დემოკრატიზაციის საფუძველზე შექმნილ გაერთიანებას. ამას კი მივყავართ იქითკენ, რომ ევრაზიონისტული იდეა სხვადასხვა სახელმწიფოს დანაწევრებას დასაშვებად

ცნობს. “თუ უკრაინა არ შემოვა მთლიანად, შემოვიდეს მისი ნაწილი”. დუგინი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ნაწილიც რუსეთზეა ორიენტირებული, ამიტომაც ის უნდა გამოეყოს საქართველოს და შეუერთდეს ევრაზიულ იმპერიას. მისი აზრით ევრაზიული იმპერია დემოკრატიულად უნდა შეიქმნას და მასში ქვეყნები ნებაყოფლობით შევიდნენ. (მაცაბერიძე,2020)

“დუგინი ხაზგასმით ამბობს, რომ საქართველოს ავტონომია უნდა ჰქონდეს და არა იყოს დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი სუბიექტი იმ დიდი ევრაზიულ იპერიის, რომლის შექმნისკენაც ისინი მიილტვიან. ეს არის მაქსიმალური წრმოდგენა რუსეთის საქართველოზე. ისინი იყენებენ XIX საუკუნის სლავოფილების იდეებს, XX საუკუნის რუსი გეოპოლიტიკოსის იდეებს, მესამე რომის იდეებს და ყველაფერს იმას რაც ემსახურება რუსეთში იმპერიული სახელმწიფოს გამტკიცებასა და შექმნას. ლეგიტიმურ საზღვრებად მიაჩნიათ მეფის რუსეთის, რომანოვთა იმპერიის საზღვრები,რომელიც უფრო დიდი იყო ვიდრე საბჭოთა კავშირი. პუტინმა პეტრე პირველის მაგალითი მოიყვანა. როცა ჩრდილოეთის ომებში ოცი წელიწადი ომობდა საზღვრების დასაბრუნებლად, და ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს. ამდენად რუსი გეოპოლიტიკოსების კონცეფციების შესწავლა ცხადია მნიშვნელოვანია, რადგანაც მათი ნაშრომები არ არის სამეცნიერო ნაშრომები ეს არის პირდაპირ იდეოლოგიური დოქტრინა, სადაც შავით თეთრზე წერია თუ მათ რა სურთ. შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია შევადაროთ იმ პოლიტიკას რასაც ანხორციელებს რუსეთი და ვნახავთ რომ ერთი-ერთზე დამთხვევაა. ამ ბოლო დროს დუგინი დანიშნეს პირველი არხის გენერალურ დირექტორად, არხი ჩააბარეს, როგორც პროპაგანდისტული საშუალება. (რესპოდენტი N2; 13.06.2022)

2009 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში იმაზეც ისაუბრა, რომ ომი არაჰუმანური ფორმაა და არ მიესალმება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რუსეთს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა უწევს. მაგრამ 2008 წელს აგვისტოს ომის დროს აშკარა იყო დუგინის აღფრთოვანება, რომ როგორც იქნა რუსეთი თავისი იმპერიული გეგმის განხორციელებას შეუდგა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, “ჯორჯიან თაიმსის” სატელეფონო ინტერვიუ დუგინთან, რომლის დროსაც გუდინმა განაცხადა, რომ შემდეგი რასაც რუსები მიითვისებდნენ აჭარა, სამეგრელო და ჯავახეთი იქნებოდა.

ამავე ინტერვიუში დუგინი საქართველოს აშკარად ადანაშაულებს სამშვიდობოების დახოცვაში და რომ რუსეთი სწორედ მათ იცავდა. ამავდროულად ახსენებს ამერიკელებს, რომ ყველაფერში დამნაშავე ისინი არიან და რა თქმა უნდა საქართველოს პროამერიკული მთავრობა. აშკარაა, რომ დუგინი, ომის მიზეზებთან დაკავშირებით ხან ერთ პოზიციას აფიქსირებს ხანაც მეორეს. რა იყო ომის მიზეზი? ეთნიკური დისკრიმინაცია საქართველოს მხრიდან თუ საქართველოში ჩრდილოატლანტიკური გავლენის ზრდა? რა იყო კონკრეტულად ამერიკელების ბრალი? (მაცაბერიძე, 2020)

"2007 წელს პუტინი უკვე ხედავს თავის იმპერიალისტურ გეოპოლიტიკას იმ პრიზმით რომ საბჭოთა კავშირის რეინკარნაცია უნდა მომხდარიყო და ამის მცდელობა იყო დსთ, მაგრამ საქართველო ნატოსკენ მიდიოდა და ბუქარესტის სამიტზე უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი მაპის მინიჭება არ მინიჭება. საქართველო კი კოლექტიურ საფრთეს უქმნიდა რუსულ სივრცეს. ამის შესაჩერებლად რუსეთს სჭირდებოდა რაიმე რითიც საქართგველოს ჩამოაშორებდა დასავლურ სივრცეს სამხედრო თვალსაზრისით. ამავე წლებში დუგინი სამხედრო დაპირისპირების მომხრეა და აცხადებდა, რომ თბილისში ტანკები უდნა შევიყვანოთო. თუმცა მოგვიანებით ამაზე დუგინმა განაცხადა, რომ საქართველო მაშინ სხვა გზაზე იდგა, ნატოს გაფართოების საკითხი იდგა რაც პრინციპულად მიუღებელია რუსეთისთვის ამიტომ უდნა ჩარეულიყო. ბევრი რუსი სამხედრო თეორეტიკოსი მაგალითად კერასიმოვი დღეს უკვე ამბობს, რომ რუსეთმა აღარ უნდა აწარმოოს ტრადიციული ომი, რადგან ეკონომიკური გადაჯაჭვულობა იმდენად დიდია სახელმწიფოებს შორის, რომ არამომგებიანია ფართომაშტაბიანი ომების წარმოება რადგან ეს ეკონომიკურ დიდ დანაკარგს გულისხმობს, ამიტომ რუსეთი უნდა გადაეწყოს შეფარულ, დივერსიულ, საინფორმაციო ომზე. ანუ რაც არის ჰიბრიდული ომი. ხოლო ამ მეთოდებით თუ ვერ მიიღწევა მიზანი, მცირე ომებით შესაძლოა ამის მიღწევა რომ შეიქმნას არეულობა. დუგინმაც განაცხადა რომ აღარ არის ტანკები საჭირო, რადგან 2008 წელს რომ თბილისში ტანკებით შემოვსულიყავით დაახლოებით ისეთივე ხელისუფლება ეყოლებოდა საქართველოს როგორიც ახლა ყავსო". (რესპოდენტი N1; 10.06.2022)

2013 წელს ინტერნეტპორტალ "alternativeright"-თან ინტერვიუს დროს დუგინმა საქართველოს "შეუმდგარი სახელმწიფო" უწოდა, რომელიც მულტიეთნიკური

წარმონაქმნია და მისი ერთ ნაციად განხილვა შეუძლებელია. რამდენადაც მის ფარგლებში მრავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს ეთნიკური წმენდა გარდაუვალია. დუგინმა ისიც კი დააკონკრეტა, რომ გენოციდის საფრთხის ქვეშ ამჯერად მეგრელები აღმოჩნდებიან, და ვინაიდან ისინი კარგად იაზრებენ ამას რუსეთს თავის მოკავშრედ განიხილავენ. დუგინის თქმით ყველა ერი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სახლობს და თავსმოხვეული აქვს ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა რუსეთის დაცვას და დახმარებას საჭიროებს. მეტიც დუგინი ამ ხალხების სხვა სახელმწიფოებისთვის გადაცემის იდეასაც აფიქსირებს. მაგალითად თუქრეთისთვის ან ირანისთვის, რომლებიც მისივე აზრით სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ. თუმცა საინტერესოა, რატომ მიიჩნევს დუგინი თურქეთს სწორი პოლიტიკის გამტარებლად, მაშინ როცა ის ნატოს წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს. გარდა ამისა, დუგინმა საჯაროდ ისიც კი დააფიქსირა, რომ სწორედ საქართველოს სახმრეთ ტერიტორიებით არის დაინტერესებული რუსეთი. ტერიტორიებით, რომელსაც ზღვაზე აქვს გასასვლელი. რუსეთს რომ ევრაზიაში ამერიკის გავლენა არ სურს გასაგებია და ამის შესაჩერებლად რომ სამხედრო ძალასაც დაუფიქრებლად იყენებს უკვე ყველამ დაინახა. მაშინ რა საჭიროა ეთნიკური კონფლიქტით აპელირება და მილიტარიზმის გამართლება. მაგრამ არასწორიფაქტების ასეთი წვრილმანებით იწყებენ ისტორიის გაყალბებას, რომელზეც შემდეგ თავში ვისაუბრებ. ეთნიკურ კონფლიქტებში ჩაგრულის დაცვის იდეა, რომ ფარისევლობაა დუგინის 2010 წელს გამოთქმული მოსაზრებიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც რუსეთი ამერიკაზე საშიშია. რადგანაც ამერიკის გადაგდების შემთხვევაში საქართველო რამდენიმე გრანტს დაკარგავს. რუსეთის გადაგდების შემთხვევაში კი საქართველო დაკარგავს ტერიტორიებს. ანუ გვემუქრება სამხედრო დაპირისპირებით, რომელშიც წაგებულს, რა თქმა უნდა, საქართველოს მოიაზრებს. რა გამოდის, რომ ეთნიკური გენოციდი არაფერ შუაშია და რუსეთისთვის მთავარი მისი ინტერესების გათვალისწინებაა. ამ ინტერესების დასაცავად კი გამოიყენებს ყველა შესაძლო საშუალებას, და სხვადასხვა სიტოაციაში სხვადასხვა ნაირად გაამართლებს თავის მოქმედებას. (ხაჩიძე, 2010)

“დღეს-დღეობით, სანამ რუსეთი უკრაინაში ანხორციელებს სამხედრო თავდასხმებს, ის საქართველოს თავს არ დაესხმება, რადგან ეს მას არ აწყობს. საქართველო აწყობს მშვიდ

მდგომარეობაში რამდენადაც, სანქციების პირობებში მისი დახმარებით რიგი პრობლემების გადაჭრა. ამიტომ საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვა ამ ეტაპზე არ აწყობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ოსეთშიც რუსეთთან შეერთების თაობაზე რეფერენდუმი შეჩერდა. თუმცა, როცა დასრულდება ეს ომი, რუსეთი რას იზავს არავინ არ იცის. ბევრი იმასაც ამბობს, რომ თუ უკრაინაში დამარცხდება, რუსეთი საქართველოზე იყრის ჯავრს, რომ სადღაც მაინც გახდეს გამარჯვებული. თუმცა დღეის მონაცემებით, არავინ იცის რა მოხდება, მოიგებს თუ არა ომს რუსეთი , ან რა ფორმით იქნება ეს მოგება თუ წაგება. რუსეთისთვის დამარცხება იქნება ის, რომ უბრალოდ ვერ მიაღწევს თავის მიზნებს უკრაინაში. თუმცა რუსეთი რომ საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს ამას დიდი გეოპოლიტიკის სცოდნა არ სჭირდება. ორი ტერიტორია ოკუპირებულია, საიდანაც ხალხი გამოდევნილია და ამ ხალხს იქ არავინ არ აბრუნებს. ამიტომ რუსეთმა ყველანაირი ფორმა შეიძლება გამოიყენოს კავკასიის რეგიონში გავლენის შესანარჩნებლად. ამას ვხედავთ ყარაბაღის კონფლიქტის ფარგლებშიც, ის მშვენივრად იყენებს სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებას. მაგალითად სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა გაზარდა მისი სამხედრო კონტიგენტი, გაიზარდა მისი კონტროლირებადი ტერიტორიაც. ამიტომ ის ნელ-ნელა ცდილობს გავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველოც. ერთადერთი ქვეყანაა რომელიც გარეგნულად მაინც არ ითვლება რუსეთის ორბიტად და ევრაზიის წევრად. რუსეთმა შეცვალა თავისი ტაქტიკა საქართველოსთან მიმართებაში, თუ დასჭირდება მილიტარიზმსაც მიმართავს, მაგრამ შეეცდება სადამდეც ექნება რბილი ძალის გატარების რესურსი, ის გამოიყენოს. მოკელდ, რომ ვთქვათ რუსეთი არ აპირებს საქართველოდან არსად წასვლას. რუსულ გეოპოლიტიკურ გეგმებში შავი ზღვა თავის საქართველოთი აუცილებლად შედის. მაგრამ რუსეთს შეეძლება რომ სამხედრო ძალა არ გამოიყენოს და დაყვავების პოლიტიკითა და რბილი ძალის პოლიტიკით ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ მოახერხოს მისი შეერთება. თუმცა საჭიროების შმეთხვევაში უკვე ვნახეთ რომ გამოუყენებია ჩვენს წინააღმდეგ იარაღი და არ არსებობს არანაირი გარანტია ამისი რომ ის ამას აღარ იზავს. (რესპოდენტი N2; 13.06.2022)

2013 წელს მედიაპორტალმა "ტაბულამ" გამოაქვეყნა დუგინის რადიო "გოლოს როსიისთვის" მიცემული ინტერვიუ. ინტერვიუში დუგინი საუბრობდა, რომ

საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის სასაზღვრო პრობლემის მოგვარება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნია, სამხრეთ ოსეთს უფლება აქვს საკუთარი საზღვრის დემარკაცია მოახდინოს. ეს ქმედება, რა საკვირველია, საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ლეგალური არ იქნებოდა თუმცა ეს რუსეთისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. დუგინი კვლავ გენოციდზე ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ რუსეთმა 2008 წელს სწორი გადაწვეტილება მიიღო რომ ეს ერი გადაარჩინა. ახლა კი პასუხს აგებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე. ამდენად დუგინის თქმით რუსეთი არასოდეს წაიღებს თავის აღიარებას უკან და ეს ტერიტორიები ვერასოდეს დაუბრუნდება საქართველოს, მაგრამ პრობლემის საუკეთესო და მშვიდობიანი გადაჭრის გზა ევრაზიის კავშირში გაწევრიანებაა. ამდენად რუსეთი ცდილობს საქართველოსთან ივაჭროს; ან გაერთიანდება რუსეთთან ერთად ევრაზიულ კავშირში, სადაც საზღვრების არსებობა მნიშვნელობას კარგავს ან შეეგუება და უარს იტყვის იმ ტერიტორიებზე, რომელიც მისი ორგანული ნაწილი იყო მაგრამ ახლა მას აღარ ეკუთვნის. დუგინისვე თქმით ევრაზიული კავშირის იდეა, ისევე გააქრობს საზღვრებს სახელმწიფოებს შორის, როგორც მაგალითად ევროკავშირშია ქვეყნებს შორის საზღვარი შეუმჩნეველი. ამდენად ამ პირობებში საზღვარი გაქრება საქართველოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორისაც (ტაბულა, 2013).

1.3 ოკუპირებული ტერიტორიები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა სამხედრო აგრესია პირველად საქართველოში და უკრაინაში გამოიყენა. აფხაზეთის ომის დროს, დასავლეთში ჯერ კიდევ მერყეობდნენ რუსეთის მჩაგვრელ პოლიტიკასთან დაკავშირებით და მიიჩნევდნენ, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა გამონაკლისი იყო. თუმცა ყირიმის ოკუპაციის შემდეგ დასავლეთი დარწმუნდა, რომ მილიტარიზმი რუსეთისთვის საგარეო-პოლიტიკური მიზნებისთვის ლეგიტიმური ინსტუმენტი იყო და რომ ამ მიზნების განსახორციელებლად ძალის გამოყენებას ის არ მოერიდებოდა. დღესდღეობით პუტინის დოქტრინა ამართლებს რუსეთის გეოპოლიტიკას და საფუძველს ქმნის პოსტაბჭოთა სივრცეში განამტკიცოს გავლენა. (კომახია)

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მაქსიმ შევჩენკო, 2013 წელს ჟურნალ "თბილისელებთან" ინტერვიუში საუბრობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ, რომლის პრეზიდენტობის პირობებშიც ის რუსეთის დამოკიდებულების ცვლილებას საქართველოსთან მიმართებაში არც კი განიხილავდა, რამდენადაც სააკაშვილი რუსეთის ფედერაციისთვის მიუღებელი ფიგურა იყო და აღნიშნავდა, რომ რუსეთი ცალსახად ელოდება ორხელისუფლებიანობის დასრულებას. ხოლო მანამ, სანამ სააკაშვილი ქართულ ხელისუფლებასთან რაიმე კავშირშია საუბრის რეჟიმი საქართველოსა და რუსეთს შორის წარმოუდგენელია, თუმცა შევჩენკოსთვის ის ცვლილებები რაც ქვეყანაში მიმდინარეობდა საკმაოდ პოზიტიურ ხასიათს ატარებდა და ფიქრობდა, რომ ეს ყოველივე დადებითად აისახებოდა ტერიტორიების საკითხზე. კითხვაზე; "ეწინააღმდეგება თუ არა პირდაპირ დიალოგს რუსეთი, საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის" შევჩენკომ არადამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, რომ დასავლეთიც ეწინააღმდეგება პირდაპირ დიალოგს რუსეთსა და საქართველოს შორის, თუ მასში არ მონაწილეობს ვაშინგტონი და ბრიუსელი, თუმცა ეს შესაძლებელი ყოფილა ხელისუფლების ცვლილებით. მაგრამ არსად პასუხობს ზუსტად კითხვაზე, ეწინააღმდეგება კი რუსეთი საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის პირდაპირ დიალოგს რუსეთის გარეშე. მეტიც, შევჩენკო რუსეთს აუცილებლად ასახელებს ამ მოლაპარაკებების შუამავლად და ამ შესაძლებლობების კვალ და კვალ ახალ გამოწვევებს სთავაზობს საქართველოს. ამ შემთხვევაში შევჩენკო თურქეთის როლის ზრდაზე ალაპარაკდა, რაც, რა თქმა უნდა, ასევე არასასურველი და არამომგებიანია რუსეთისათვის. "საქართველო თანდათან იქცევა რუსეთსა და თურქეთს შორის კონკურენციის ასპარეზად". რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულ უთანხმოებას, კი კვლავ რელიგიური ფაქტორებით ხსნის. (მაცაბერიძე, 2020) შევჩენკოსგან განსხვავებით საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის მოლაპარაკების შესაძლებლობას კრიტიკულად აფასებდა ჟირინოვსკი. ერთ-ერთ თოქ-შოუში "60", რომელიც რუსეთის პირველ არზე გავიდა, ჟირინოვსკიმ ნინო ბუჯანაძეს ისიც კი უთხრა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ რუსული ჯარი ამ ტერიტორიებს არ დატოვებდა. (ambebi.ge, 2017)

“შევჩენკოს განცხადება მოსინჯვა იყო ნიადაგის, რომ იქნებ ესე ჯობია, დაიწყოს დიალოგი სქართველომ და აფხაზეთმა, საქართველომ და ცხინვალის რეგიონმა. მაგრამ ჟირინოვსკის ენით რუსეთმა მაშინვე განახცადა, რომ ეგ არასოდეს არ მოხდება. არ აქვს მნიშვნელობა რომელი მმართველი ძალა იქნება საქართველოში. მაგალითად, დღვანდელი ხელისუფლება არა იმდენადა მოსწონთ, რამდენადაც მისი ატანა შეუძლიათ. რუსული გავლენის გაძლიერების შემთხვევაში ისინი ხელისუფლებას გამოცვლიან, აფსოლუტურად სხვა ხალხს მოიყვანენს. ეს ხალხი მოცემულ სიტოაციაში ასატანია და მეტ-ნაკლებად აწყობთ. მათი კომპრომისული ხასიათის გამო რუსები წაგებაში არ არიან. მაგრამ თუ სიტოაცია რუსეთის სასარგებლოდ შეიცვლება ისინი აუცილებლად გამოცვლიან მთავრობას. არავითარ შემთხვევაში არ დატოვებენ შუალედურ ადამიანებს ხელისუფლებაში, ეს წესია იმპერიების. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ოფიციალურად პრორუსული ხელისუფლება მოვა საქართველოში, ამ შემთხვევაშიც არ დაიწყება მოლაპარაკებები საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის. ეს რუსეთს არაფერში არ სჭირდება. თუ საქართველოში ოფიციალურად პრო რუსული მთავრობა იარსებებს და რუსული სამხედრო გავლენაც უზრუნველყოფილი იქნება, რა აუცილებლობაა იმის, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილებად აღიარება მოახდინონ. შესაძლოა მისვლა-მოსვლა აღდგეს, ესე ძაან თეორიულად. მაგრამ დევნილი მოსახლეობა ვერ დაბრუნდება ამ ტერიტორიებზე და იქ ქართული გავლენა არ გაიზრდება. მხოლოდ იმ დონეზე აღდგება კავშირი რამდენადაც რუსეთს დასჭირდება , მაგალითად რკინიგზა და აშ. (რესპოდენტი N2; 13.06.2022)

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათ რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების თაობაზე საუბრობს პოლიტოლოგი ანდრეი ეპიფანცევი, რომლის აზრითაც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ერთ ჭრილში არ უნდა განვიხილოთ. სამხრეთ ოსეთს მიუხედავად იმისა, რომ სურს რუსეთთან გაერთიანება, ვერ მოხერხდება გარკვეული საერთაშორისო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ხოლო აფხაზეთი თავიდავნე საკუთარ ეთნიკურ მოდელს აშენებდა, რომელსაც არ სურს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არამედ სურს იყოს მისი თანაბარუფლებიანი პარტნიორი მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად დამოკიდებულია მასზე (საქინფორმი, 2012). ეპიფანცევისვე აზრით სამხრეთ ოსეთი ისედაც რუსეთის კისერზეა და რომც შევიდეს მის შემადგენლობაში

რუსეთისთვის არაფერი იცვლება. მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის გაღიზიანებას ნამდვილად გამოიწვევს, რაც რუსეთისთვის გაგრძელებულ სანქციებს განაპირობებს და გეოპოლიტიკური ინსტრუმენტებიც თამაშგარეთ დარჩება. ამაში კი ეპიფანცევი გულისხმობდა იმას, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის თავის შემადგენლობაში შეყვანის სქემას საქართველოს ნატო-ში გაერთიანების შემაკავებლად განიხილავს. (მარშალპრესი, 2016) ეპიფანცევისგან განსხვავებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იდეას არ გამორიცხავდა ჟირინოვსკი, ოღონდ ერთგვარი კონფედერაციის სახით, რომელიც შესაძლოა რუსეთსა და ბელარუსს შორის შექმნილიყო. ჟირინოვსკი ბელარუსის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მომხრეც იყო, რამდენადაც მისი თქმით მათ ისედაც რუსეთი არჩენდა და სჯობდა "ქორწინება ნამდვილი გამხდარიყო". (Pia.ge. 2020)

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საინტერესოა დუგინის პოზიციაც. დუგინის აზრით, რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობისას შესაძლოა ბევრ დათმობაზე წავიდეს, თუმცა რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ამ საკითხში რუსეთი შეზღუდულია. რამდენადაც ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებლობის აღიარების უარყოფა რუსეთს არ შეუძლია. შესაბამისად დუგინის აზრით რუსეთს საქართველო იმდენად აინტერესებს, რამდენადაც არ სურს ამ ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განთავსება და ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი ყველაფერზეა წამსვლელი. თუმცა სხვა ინტერესები რუსეთს არ გააჩნია რადგან შესათავაზებელი საქართველოსთან არაფერი აქვს. დუგინი საუბრობს 2008 წლის აგვისტოს ომზეც, და მისი აზრით რუსული ჯარები თბილისისკენ აუცილებლად უნდა წამოსულიყვნენ რადგან საქმე ბოლომდე მიეყვანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში დუგინი განიხილავდა, რომ ომი რუსეთსა და დასავლეთს შორის არ დასრულდებოდა. გარდა ამისა, დუგინის აზრით საქართველოში მზად იყვნენ რუსული ტანკების დასახვედრად და იზიარებს შევჩენკოს პოზიციას, რომელიც ასევე ფიქრობდა, რომ რუს ჯარისკაცებს ქართველი გლეხობა სიხარულით ხვდებოდა. (მაცაბერიძე, 2020)

"მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველო არ არის პირველი საკითხი რუსეთს საგარეო საქმეთა კონცეფციაში. არც მეორე, არც მესამე, არც მეათე. ის არის საკმაოდ უკანა პლანზე. დიდი ქვეყნები პატარა ქვეყნებს არ უყურებენ როგორც მთავარ

ღირებულებას. რუსეთისთვის საქართველო საინტერესოა დასავლეთთან კონკურენციის და კონფლიქტის ფორმატში ან რეგიონულ ფორმატში. თუმცა საქართველო რომ სერიოზულად მიუახლოვდეს ნატოს და აქ მისი ჯარები განთავსდეს, ამის გამო, რომ რუსეთმა სამხედრო დაპირისპირება დაიწყოს ისევე, როგროც ეს 2008 წელს მოხდა, აფსოლუტურად შესაძლებელია". (რესპოდენტი N3; 14.06.2022)

თავი II. რუსული გეოპოლიტიკა და საქართველოს ისტორია

რუსული გეოპოლიტიკის ასაღწერად შეიძლება ერთი ასეთი, დოქტრინაც გამოვიყენოთ, რომელსაც პრიმაკოვის დოქტრინას ეძახიან. როდესაც საბჭოთა კავშირი დასუსტდა, ამ დოქტრინის მიხედვით, რუსეთს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დესტაბილიზაცია უნდა დაეთესა რაც მას დროის მოგების საშუალებას მისცემდა. და სანამ სახელმწიფოები თავიანთ პრობლემებს დაძლევდნენ რუსეთი მოძლიერდებოდა და კავშირს საფრთხე არ დაემუქრებოდა. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რუსეთს სსრკ-ს დაშლიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ შანსი გაუჩნდა აღიდგინოს გავლენა, და ამ შანსის გამოყენებას რუსეთი აუცილებლად შეეცდება. კონკრეტულად, საქართველოზე კონტროლის შენარჩუნებას რუსეთი სხვადასხვა მექანიზმებით ცდილობს. უკიდურესი ფორმა, რა საკვირველია მთლიანი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპირებაა. დუგინის აზრით ამისთვის რუსეთს კარგი საფუძველი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საფუძველი ისტორიულად ვერ მოიძებნება დუგინი მისი შეთხზვის ვარიანტსაც არ გამორიცხავს. (Pirveli, 2009) და მართლაც, სიახლე არ არის, რომ რუსეთში საქართველოს ისტორიის თავისებურ ხედვას არაერთი მკვლევარი გვთავაზობს მათ შორის აღსანიშნავია ეპიფანცევის კონცეფცია და თავად ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხედულება, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

2.1 ეპიფანცევის კონცეფცია

მოცემულ თავში განვიხილას ანდრეი ეპიფანცევის წერილს რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხება და კარგად გამოხატავს იმ დამოკდიებულებას, თუ როგორ უყურებენ რუსი ავტორები ამ ორი ქვეყნის ისტორიულ ასპექტებს. ეპიფანცევი სტატიის დასაწყისშივე რიტორიკულ შეკითხვას სვამს, რომ იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე და ამ საკითხის ირგვლივ თავისებურ ხედვას გვთავაზობს. პირველ რიგში აღსანიშნავია ეპიფანცევის შეხედულება იმის თაობაზე, თუ თავად ქართველები როგორ წარმოაჩენენ საკუთარ ისტორიას და მას გადაწერილსაც კი უწოდებს. აშკარაა, რომ მისი აზრით ქართველები გაზვიადებულად აღწერენ საკუთარ მოწამეობრივ ცხოვრებას და რომ საქართველო სულაც არ იყო დიდ განსაცდელში

მაშინაც კი, როცა ირანის და თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი. მეტიც, ეპიფანცევის თქმით ქართული ისტორიის კითხვისას დეჟა-ვუს გრძნობა დაგეუფლებათ, რადგანაც ხშირად გვხვდება ქცევის ერთი და იგივე მოდელი.

აქვე მინდა აღვნიშნო, გასაკვირი არც არის, როცა რუსი პოლიტოლოგი კარგად იცნობს ქცევის მოდელს. რადგანაც, სწორედ რუსეთს გააჩნია ყველაზე უკეთესი ერთი გამოხატული ქცევა. მთელმა მსოფლიომ გაიცნო უკვე მისი ხასიათი. თუ როგორ შეუძლია გაამართლოს თავისი მილიტარისტული ქმედებები. ყველა კონფლიქტში, სადაც საკუთარი მზინების განხორციელება უნდა "ეთნიკური ჩაგვრის" თუ რუსი მოსახლეობის "უფლებების დარღვევის" დამცველად მოგვევლინება ხოლმე. ასეთ შემთხვევაში არავინაა დაცული რუსული აგრესიისგან.

ეპიფანცევი ასევე საუბრობს სპარსულ გავლენაზე ქართულ კულტურასა და ხალხზე და ამის საარგუმენტაციოდ იმასაც კი ამბობს, რომ სპარსულ წარმოშობას შოთა რუსთაველიც კი არ მალავდა. ეს დასკვნა კი პოემა "ვეფხისტყაოსანის" ერთ-ერთი სტროფის პირველი ტაეპიდან გამოაქვს: "ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები". ამით ცდილობს დაგვანახოს, რომ ქართველები მშვენივრად ცხოვრობდნენ დამბყრობლების გვერდით და რომ უმადურობაა ამის არ აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ანდრეი ეპიფანცევი აღიარებს სარწმუნოების გამო ასობით ქართველის სიკვდილით დასჯას, იმასაც აღნიშნავს, რომ იმ დროში კონფლიქტების მოგვარების სხვანაირი, უფრო ჰუმანური გზა არ არსებობდა, და რომ მსგავსი შემთხვევები ყველგან ხდებოდა მათ შორის ევროპაში და თანაც უფრო რთულ ფორმებში. ამდენად ეპიფანცევი ისტორიის მეორე მხარეს გვთავაზობს, რომელიც მისივე აზრით გაანალიზებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ სიტოაცია რთული იყო, საქართველო არ წარმოადგენდა კოლონიას და ქართველებსაც საკმაოდ ღირსეულად ებყრობოდნენ ირანსა თუ თურქეთში. მეტიც, ქართველებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ შაჰთან და მმართველებადაც ყოველთვის გამაჰმადიანებული ქართველები ინიშნებოდნენ. საინტერესოა, ავიწყდება ეპიფანცევს თუ რაოდენ დიდ ღალატად ითვლებოდა რჯულის და მრწამსის შეცვლა და, რომ სწორედ ამ თანამდებობებით ცდილობდა მტერი გადაებირებინა ქართველები. შესაბამისად,

შეიძლება კი მთლიანი ქვეყნის ბედი ამ მოღალატე ადამიანების ცხოვრების საფუძველზე განვსაზღვროთ?!

"ქართულ ელიტაში მართლაც მოიძებნებოდა გარკვეული ნაწილი, ვინც მზად იყო სამშობლო გაეყიდა კარიერისა და ფულის გამო. თუმცა ამის განზოგადება მთელს ქართველ ელიტაზე ეს არის მიკერძოება და არც ერთი სერიოზული მკვლევარი მსგავს შეცდომას არ დაუშვებდა. (რესპოდენტი N5; 12.06.2022)

ეპიფანცევის თქმით სწორედ ეს 200-ზე მეტი წელი დაეხმარა ქართველებს, შეენარჩუნებინათ ეროვნება, მაგრამ როგორც კი ირანი და თურქეთი სუსტდება, საქართველო ახალი მოკავშირის ძიებას იწყებს და ამ ახალ მოკავშირედ მას რუსეთი ესახება, რომელიც ეპიფანცევის მიხედვით სულაც არ იყო დაინტერესებული საქართველოთი, მაგრამ საქართველომ, კონკრეტულად კი ერეკლე II-მ დიდხნიანი ხვეწნის შემდეგ დაითანხმა. ამის შემდეგ იდება გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც რუსეთს უნდა დაეცვა საქართველო, მაგრამ საქართველოს რუსეთის გარეშე საგარეო ურთიერთობებს არ ანხორციელებდა. საინტერესოა თუ ქართველები ასე კარგად გრძნობდნენ თავს თურქეთისა და ირანის ბატონობის ქვეშ მაშინ ვისგან სჭირდებოდათ თავის დაცვა? ან რატომ ეძიებდნენ მოკავშირეს? ეპიფანცევი ამბობს, რომ ერეკლე მეორეს ყველაზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანთან, ვიდრე სხვა ქართველ მმართველებს. მაგრამ მათ უღაალატა და მეტიც შეურაცხყოფასაც კი აყენებდა. ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ერმა პირველ რიგში სხვისი ტერიტორიების დაპყრობა დაიწყო, თანაც რუსეთთან შეუთანხმებლად და რუსული დანაყოფის გამოყენებით. ერეკლე მეორემ გეორგიევსკის ტრაქტატი არაერთხელ დაარღვია, მათ შორის მაშინ, როცა თურქეთთან შეთანხმება დადო. ამის შემდეგ გაბრაზებული ეკატერინე მეორე აუქმებს გეორგიევსკის ტრაქტატს. ერეკლე მეორე კი კვლავ მარტო რჩება, რამდენადაც რუსეთთან და ირანთან ურთიერთობები გაიფუჭა ხოლო თურქეთთან შეთანხმებასაც ვადა გასდიოდა. ამასობაში კვლავ მოძლიერდა ირანი, რომლის ტახტზეც აღა მაჰმად ხანი ავიდა. ამასობაში ქართველები აგებენ კრწანისის ბრძოლას და ასობით ქართველი მონებად მიჰყავთ. ათი წლის შემდეგ რუსეთი საქართველოს ოდესღაც დაკარგულ ტერიტორიებს უბრუნებს, რომლის დროსაც ოცი ათასამდე რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. აქედან იწყება ქართველი და რუსი

ერის განსაკუთრებული დაახლოება. თუ აქამდე გორგასლის დედა იყო ირანელი, ახლა რუსეთის ტახტის მემკვიდრეებს ჰყავთ ქართული სამეფო შტოს წარმოამდგენელი ნათესავები. ქართველები შეიჭრნენ რუსეთის ცხოვრებაში და საკუთარი გვარების რუსიფიცირება დაიწყეს, ისევე როგორც ადრე ამას ირანის მფარველობის ქვეშ აკეთებდნენ. ეპიფანცევი იმასაც კი ამბობს, რომ ნიკოლოზ მეორემ ქართველ გლეხებს ჩაის პლანტაციები იმიტომ გააჩეხინა, რომ არ უნდოდა ისინი ასეთ რთულ საქმეზე დატანჯულიყვნენ.

XX საუკუნეში როცა ამეჯრად რუსეთი სუსტდებოდა, ქართველებმა კვლავ ახალი მოკავშირის ძიება დაიწყეს და ამისთვის საუკეთესო ვარიანტი გერმანია იყო. 1918 წელს საქართველო ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს გერმანიასთან, რომელსაც კოლონია სჭირდებოდა. ამ პერიოდში გერმანია წყვეტს საქართველოს პოლიტიკურ საკითხებს და დოკუმენტსაც ამზადებს საქართველოს რუსეთისგან გამოყოფის და გერმანიასთან მიერთების საკითხზე. 26 მაისს საქართველო აცხადებს დამოუკიდებლობას და 28 მაისს, მას შემდეგ რაც გერმანიაც სცნობს მას, ქართულ მიწაზე მობილიზებას იწყებს გერმანული არმია. ეპიფანცევის თქმით ასეთ მცირე დროში პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლა ერეკლე მეორესაც კი გააკვირვებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო კვლავ ტერიტორიებს იპყრობს, დაიპყრო აფხაზეთი და გადავიდა რუსეთის მიწებზეც, მაგრამ როდესაც რუსული არმია კონტრშეტევაზე გადავიდა ქართულმა ჯარმა იარაღი დაყარა და ჩაბარდა. ეპიფანცევის თქმით ქართველ ისტორიკოსებს ამ შემთხვევის ხსენება არ უნდათ და ამის შესახებ საქართველოში თითქმის არავინ იცის.

როცა გერმანიამ ანტანტასთან ომი წააგო და დასუსტდა საქართველოდან თავისი ჯარიც გაიყვანა. ამის შემდეგ საქართველო გაერთიანებულ სამეფოსთან ცდილობს დაახლოებას, რომელსაც ის არ აინტერესებს. ასეთ შემთხვევაში საქართველო ცდილობდა მისი ყურადღება მიექცია და დაიწყო მტკიცება, რომ ბოლშევიკურ რეჟიმს ეწინააღმდეგება რადგან იცოდა გაერთიანებული სამეფოც ეწინააღმდეგებოდა მათ. საბოლოოდ იმდენს მიაღწია რომ დიდმა ბრიტანეთმა აფხაზეთისა და კუბინსკის მიწები აღიარა საქართველოს ტერიტორიებად. 1920 წლიდან, რუსეთი კვლავ ძლიერდება და იწყებს ომს გაერთიანებულ სამეფოსთან, ამის პარალელურად გრიგოლ ურატაძე

სტალინს სთხოვს დახმარებას და შედეგად იღებს იმას, რომ რუსეთმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთს საქართველოს დაცვა ეკრძალებოდა, 1921 წელს წითელი არმია შედის საქართველოში და თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა.

ეპიფაცევი თავის შეხედულებას გვთავაზობს საბჭოთა დროინდელ საქართველოზეც, რომლის დროსაც ქართველები განსაკუთრებულ ადგილს იკავებდნენ რუსულ ცხოვრებაში. რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართული მუსიკა თუ თვითონ საქართველო, თავისი საკურორტო ზონებით. ამას კი ეპიფანცევი იმით ხსნის, რომ საქართველომ ამ ყველაფერს ჩრდილოვანი ეკონომიკითა და კანონიერი ქურდებით მიაღწია. მაგრამ 1980 წელს, როცა რუსეთი კვლავ იწყებს შესუსტებას საქართველო პირველია, ვინც საბჭოთა კავშირს გამოეყო. ამის შემდეგ პოლიტიკურ სცენაზე გამოდის ქართული ელიტის კლასიკური წარმომადგენელი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ეპიფაცები ანგარებიანს უწოდებს. მისივე თქმით, ზვიად გამსახურდია ცდილობს შეინარჩუნოს აფხაზეთი და ჩრდილოეთ ოსეთი, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა არ სურდათ და მითუმეტეს, რომ ქართულ მიწებადაც არ თვლიდნენ თავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამ დროისთვის მფარველი ნაპოვნი არ ჰყავს, სიტოაციას ასწორებს შევარდნაძე, რომელსაც ეპიფანცევი “თეთრ მელას” უწოდებს და აღნიშნავს, რომ აქედან იწყება საქართველოს ამერიკანიზაციაც. წინათ სსრკ-ში პატივსაცემი ადამიანები იწყებენ ქართული საზოგადოების საბჭოთამემკვიდრეობიდან ამერიკულ-დასავლურზე გადაყვანას, ხოლო საერთაშორისო შეხვედრებზე ყველგან ყვებიან თუ რა მძიმე იყო რუსეთის უღლის ქვეშ. და ქართულ ლექსიკაში ადგილს იკავებს ისეთი ტერმინები, როგორიცაა “დემოკრატია”, “ევროპული ფასეულობები” რადგან თავიანთ მფარველებს უფრო დაემსგავსონ. კვლავ გადაიწერა ისტორია, რომლის ფარგლებშიც არაფერია ნახსენები მრავალწლიანი ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებმაც გადაარჩინა საქართველო დაღუპვისაგან. არაფერია ნახსენები თურქეთთან მოლაპარაკებებზე გეორგიევსკის ტრაქტატზე საუბრისას, სამაგიეროდ ევროპასთან ურთიერთობის ფაქტები დაწვრილებითაა აღწერილი. ეპიფანცევი იმ ისტორიას რომელიც ქართულ სკოლებში ისწავლება აბსურდს უწოდებს, რომელიც

მხოლოდ ორ პერიოდად იყოფა; “რუსული ცარიზმის უღლის პერიოდად” და “საბჭოთა რუსული უღლის პერიოდად”. საბოლოოდ ეპიფანცევი აჯამებს და აღნიშნავს, რომ არაფერი იცვლება და საქართველო კვლავ იგივე მეთოდს იყენებს და ახალი მფარველის სიყვარულთან ერთად, სძულდება ძველი. ამით ამართლებს იმას, რომ საქართველოში რუსოფობები მომრავლდნენ, და რომ რუსებისთვის სათაყვანო ქართველი მსახიობები თუ მომღერლები რუსეთში აღარ ჩადიან. აქვე მოჰყავს მოსკოვში წარგზავნილი ქართველი ელჩის, ზურაბ აბაშიძის სიტყვები რომელიც აღნიშნავდა, რომ “რუსეთთან კონფრონტაცია სამკვდრო-სასიცოცლო თეატრალიზებულ ორთაბრძოლად გადაიქცა, რომლის ფარგლებშიც არსებობს შეჯიბრი თუ ვინ უფრო მწვავედ და ირონიულად უგულვებელყოფს მას”. ამდენად ეპიფანცევი აღნიშნავს, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა რუსეთის მოკავშირე, რამდენადაც საქართველო ყოველთვის იყო იმის მოკავშირე ვინც იმ დროში წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ ძალას. ეპიფანცევი აღნიშნავს, რომ ეს სპეციფიური მოდელი ნამდვილად ქმედითია. მართალია საქართველო ვერ ისრულებს თავის გეოპოლიტიკურ ოცნებას მაგრამ ახერხებს გადარჩენას, რაც კავკასიის სახიფათო წარსულის გათვალისწინებით ნამდვილად არის გამარჯვება. ეპიფანცევი არ განიხილავს, რომ ქართული ქცევის ეს მოდელი შესაძლოა ოდესმე შეიცვალოს. მისივე გამოთვლით დღევანდელი ქცევის ქართული ციკლი მალე დასრულდება. მაშინ, როცა ამერიკამ უკვე გაიარა პოლიტიკური სიძლიერის პიკი საქართველო 15-20 წელიწადში ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამოშორდება და ახალ მფარველს დაუწყებს ძებნას. ეპიფანცევი თავის დასკვნაში ძალიან თავდაჯერებული და დარწმუნებულია და ვარაუდობს, რომ 20 წელიწადში თბილისის ცენტრში ამერიკული ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნება სადაც ტრიბუნასთან ხანში შესული ააკაშვილი გამოვა და ნატო-ს მძიმე მემკვიდრეობაზე ისაუბრებს (მაცაბერიძე, 2020)

“ეპიფანცევის მიდგომა, რომლის მიხედვითაც საქართველოს არ შეეძლო არავის მოკავშირეობა მცდარი მიდგომაა. ჩვენს ისტორიაში ბევრი მაგალითი გვქონია ამის საპირისპიროდ. მაგალითად 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლა სადაც არა მხოლოდ პეტრე ბაგრატიონი იბრძოდა, არამედ სხვა ქართველი გენერლებიც. აღარაფერს ვამბობ დიდ სამამულო ომზე სადაც შვიდასი ათასი ქართველი წავიდა. ეს წერილი, რომელშიც ბევრი ფაქტობრივი შეცდომაა შეიძლება იმით გავამართლოთ, რომ ომი სულ ახალი

დამთავრებულია, რომლის ფარგლებშიც დანაკარგი რუსებმაც განიცადეს. ეს სტატია არის ცხელ გულზე დაწერილი, რომელსაც ცხადია პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა. (რესპოდენტი N5; 12.06.2022)

2.2 პუტინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთში შესვლის შესახებ

საქართველოს ისტორიის თავისებურ ხედვას გვთავაზობს პუტინიც. თუმცა უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ არა ხედვას არამედ ვერსიას. ქართველი ისტორიკოსების თქმით პუტინის ვერსია არც ერთი წყაროს ნარატივს არ ემთხვევა, და მას, ქართველი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, პროპაგანდისტული და გაყალბებული ისტორიის გაჟღერების გამო არგუმენტირებული პასუხიც გასცეს. სანამ ქართველი ისტორიკოსების პასუხს განვიხილავ, პუტინისეული ქართული ისტორიის მიმოხილვას შევეხები. პუტინის თქმით, XVIII ს-ის ბოლოს ოსეთის ორივე ნაწილი ჩრდილოეთიც და სამხრეთიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ხოლო XIX ს-ის დასაწყისში რუსეთს იმპერიას შეუერთდა აფხაზეთიც. მოგვიანებით სამხრეთ ოსეთი შედის "თბილისის გუბერნიის" შემადგენლობაში და აქვე პუტინი დასძენს, რომ არანაირი საქართველო მაშინ არ არსებობდა. როცა საბჭოთა კავშირი დასუსტდა და საქართველო მას გამოეყო, 1918 წელს გერმანიის ჯარების დახმარებით აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა, ხოლო სამხრეთ ოსეთში ხალხს სასტიკად ექცეოდნენ და ამას პუტინი გენოციდადაც კი მიიჩნევს. პუტინი იმასაც ამბობს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში სტალინის დროს შეიქმნა აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ნაწილიც გახდა საქართველო. მაგრამ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ეს ყოველივე უგულვებელყო როცა გააუქმა ამ ტერიტორიების ავტონომია, რამაც გამოიწვია შემდეგში ძმათამკვლელი ომი. იგივე მოხდა სამხრეთ ოსეთშიც, რომელზეც პუტინი აფრთხილებდა სააკაშვილს და ამერიკას რომ ომი არ დაეშვათ მაგრამ მაინც დაიწყეს ომი და შედეგიც სახეზეა. პუტინის თქმით რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა ეს ხალხები და ეღიარებინა ამთი დამოუკიდებლობა. მისივე აზრით, ანტირუსული განწყობებიც იქიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში არ იციან ამის შესახებ ან უბრალოდ უგულვებელყოფენ მას. (სვიმონიშვილი, 2019)

პუტინის ამ მონოლოგს არაერთი ქართველი ისტორიკოსი გამოეხმაურა. მათი თქმით პუტინმა არაერთ მნიშვნელოვან ფაქტს აუარა გვერდი და ძალიან ბევრიც უბრალოდ მოიტყუა. ერთ-ერთი ისტორიკოსის, ბუბა კუდავას თქმით მე-18 საუკუნეში არანაირი "სამხრეთ ოსეთი" არ არსებობდა და დღევანდელი ცხინვალის რეგიონი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. ხოლო ის, რასაც პუტინი თბილისის გუბერნიას უწოდებს, სწორედ მისმა წინაპრებმა შექმნეს, მას შემდეგ რაც 1801 წელს საქართველო დაიპყრეს, სამეფო გააუქმეს და დინასტიის წარმომადგენლები რუსეთში გადაასახლეს. კუდავა ამბობს, რომ რუსეთმა ყველა ქართული პოლიტიკური ერთეული ძალით შეიერთა, მათ შორის აფხაზეთის სამთავროც. და არც ერთ სამთავროს სუვერენიტეტი ნებით არ დაუთმია. "აფხაზეთისა" და "საქართველოს" პარალელურად გამოყენებას რუსულ იმპერიალისტურ ხრიკს ეძახის, რამდენადაც ასეთი ხმარება არასწორია. "ქართლი", "კახეთი", "სამეგრელო", "იმერეთი", "აფხაზეთი" შეიძლება ერთად ვახსენოთ, მაგრამ ეს ყველა პოლიტიკურ-გეოგრაფიულად ყოველთვის ერთიანდებოდა საქართველოში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, გასაკვირი არ ცუნდა იყოს რომ შეეცდებოდა კონტროლის აღდგენას მის ყველა ისტორიულ მხარეზე, თუმცა აფხაზეთის ოკუპაცია კი არ მოახდინა, არამედ 1918 წელს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თანხმობით, აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. ქართველი ისტორიკოსი ბუბა კარდავა, პუტინს "უბადლო ისტორიკოსს" ეძახის და აღნიშნავს, რომ პუტინის ტერმინებით ბრძოლაში ბადალი არ ჰყავს. ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს კიდევ რამდენიმე არაზუსტ ინფორმაციას; იმის თქმა, რომ საქართველო შევიდა აფხაზეთის შემადგენლობაში დიდი უტიფრობაა, და რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტონომიებიც არ გაუუქმებია ზვიად გამსახურდიას. დიმიტრი სილაქაძე აცხადებს, რომ ერთ პატარა კომენტარში პუტინმა მოახერხა ცარისტული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის პროპაგანდისტული გადმოცემა. ასევე ის განმარტავდა, რომ ისტორიოგრაფიის ეს ნაწილი არასერიოზულია რამდენადაც ამახინჯებს ფაქტებს, თუმცა ამავდროულად არის საშიშიც, რადგან წარმოადგენს იარაღს მოწინააღმდეგის ხელში. (სვიმონიშვილი, ქართველი ისტორიკოსების პასუხი ვლადიმერ პუტინს, 2020)

აუცილებლად უნდა ვახსენოთ მაქსიმ შევჩენკო, რომელიც ვლადიმერ პუტინის მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბების ფაქტს გამოეხმაურა. მან ვიდეო მიმართვა გაავრცელა ამ თემასთან დაკავშირებით. შევჩენკოს თქმით რუსეთში ყველამ კარგად იცის რომ პუტინმა გააყალბა საქართველოს ისტორია და რომ ის უბრალოდ მატყუარაა. შევჩენკო იმასაც ამბობს, რომ პუტინის ვერსიაში ეჭვი თავად ოს ისტორიკოსებსაც შეაქვთ. (Максим Шевченко о лжи Владимира Путина об истории Грузии, 2019)

თავი III. რუსული გეოპოლიტიკა და ქართული ელიტა

“რუსეთის დამოკდიებულება საქართველოსთან მიმართებაში, ყოველთვის იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ ვინ იდგა საქართველოს სათავეში. რუსები საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას იმით ამართლებდნენ, რომ ვიღაც პროამერიკელი იყო და რუსეთისთვის ანტიეროვნულ ინტერესებს ატარებდა რეგიონში. ანდაც რომ საქართველოში იყო ზედმეტად ნაციონალისტური ინტერესების მატარებელი მმართველი ძალა და სხვა ეთნიკურ უმცირესობებზე ახდენდა ზეწოლას. რუსეთი თუ ვინმეს აქებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური ერთობა თუ სუბიექტი რუსეთის ინტერესების გამტარებელია”. (რესპოდენტი N4; 07.06.2022) ამდენად საინტერესოა რუსი მოაზროვნეთა დამოკდიებულებები როგორ იცვლებოდა 2008 წლიდან დღემდე, სხვადასხვა მთავრობის პირობებში.

3.1 “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” როგორც პროამერიკული ძალა

2010 წელს, ონლაინ პორტალ “თბილისელები”-ზე გამოქვეყნდა ნინო ხაჩიძის ინტერვიუ მაქსიმ შევჩენკოსთან. აღნიშნული სტატია განსაკუთრებით საგულისყუროა, რამდენადაც 2008 წლის ომის სენტიმენტები ჯერ კიდევ არ იყო განელებული და სამხედრო მოწინააღმდეგე ქვეყნის წარმომადგენლის პოზიციის გაგება ერთნაირად რთულიც და საინტერესოც იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი პოლიტოლოგისთვის 2008 წლის აგვისტოს ომი, ბუშის ადმინისტრაციისთვის რუსეთთან დაპირისპირების საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ რა როლი ქონდა საქართველოს ამ სამხედრო დაპირისპირების შემდეგ ამაზე შევჩენკომ ისაუბრა ინტერვიუში. შევჩენკოს აზრით, საქართველო ნაწილობრივ “გადატვირთვის” მსხვერპლად იქცა, სადაც ერთმანეთს ემთხვეოდა “რესპუბლიკელებისა” და ჯორჯ სოროსის ინტერესები. ეს კი რთულ ვითარებას ქმნიდა ქართველი ხალხისთვის, რამდენადაც საქართველოს ელიტამ თავისი აგრესიული მოქმედებებით გაწყვიტა ყველა შესაძლო მოლაპარაკების პროცესი აფხაზებთან და ოსებთან. შევჩენკო სწორედ საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს რუსეთთან კონფლიქტში, რამაც შემდგომში საქართველოს დსთ-დან გამოსვლა და ყველა ხელშეკრულების გაუქმება განაპირობა. გაუქმდა ღვინოსა და

“ბორჯომის” ექსპორტი რუსეთში და აშ. ამ მოვლენების მთავარ აქტორად მიხეილ სააკაშვილს ასახელებს. შევჩენკოს თქმით მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი პოლიტიკა აქცია ქვეყნის პოლიტიკად და მას ქუჩის ფსიქოპატი უწოდა, რომელმაც გაამწვავა მდგომარეობა რუსეთთან და რომლის მოწესრიგებაც აუცილებელი გახდება თავად ქართული ელიტისთვის. ინტერვიუში ძალიან საინტერესო მიდგომები გამოიკვეთა, რომლის მიხედვითაც მაქსიმ შევჩენკო რუსულ ჯარს ქართველი ხალხის მეგობრად ასახელებს და მიაჩნია, რომ ქართველი ხალხი მას სიხარულით შეეგებებოდა იმ შემთხვევაში თუ თბილისისკენ დაიძვრებოდა. შევჩენკომ ამავე ინტერვიუში დააფიქსირა მოსაზრება, რომ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღება არ სჭირდება რამდენადაც ის არ არის რუსეთის მტერი და, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარება ომის გარეშეც შესაძლებელია. საინტერესო იყო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2009 წელს; “რუსეთის ჯარი თბილისიდან 20 კილომეტრში იმიტომ გაჩერდა, რომ, უბრალოდ, არ უნდოდათ თბილისში შემოსვლა.” შევჩენკო პასუხად ისტორიას მოიხმობს, და იხსენებს, რომ რუსული ჯარი ქართველებს იცავდა ირანელთა შემოსევებისგან. სწორედ რუსი ჯარისკაცების სისხლი იღვრებოდა თანამედროვე საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე, ამიტომ რუსულ ჯარს თბილისისკენ მიმავალ გზაზეც მოსახლეობის დიდი ნაწილი სიხარულით და სიმპატიით შეხვდებოდა. ამის დასტურად შევჩენკომ ის შემთხვევები მოიყვანა, როცა 2008 წლის ომის დროს ქართველი გლეხები რუსს ჯარისკაცებს აჭმევდნენ და სასმლითაც უმასპინძლდებოდნენ სიტყვებით “რა კარგია, რომ მოხვედითო”. თუმცა ამის ასახსნელად ქართველი პოლიტოლოგები შიშის ფაქტორს ასახელებენ. რომ ქართველ გლეხობას ეშინოდა მტრის ჯარის და გადარჩენის იმედს ფსევდო სიხარულით ებღაუჭებოდნენ. ამდენად რუსული ჯარის თბილისიდან 20 კილომეტრში გაჩერებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რამდენადაც რუსულ ისტებლიშმენტში ქართველებს სერიოზული პოზიციები გააჩნიათ. (ხაჩიძე, 2010)

აქვე საინტერესოა შევეხოთ 2018 წელს რადიოსადგურ “Эхо Москвы”-ის პროგრამა “განსაკუთრებული აზრის” ფარგლებში წარმართულ ინტერვიუს, სადაც მაქსიმ შევჩენკომ აღნიშნა, რომ საქართველოში გადატრიალების “ახალი ტალღა” იწყებოდა.

ანუ იგულისხმა, რომ ამერიკელები მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებას ამზადებდნენ. მისი აზრით, ყველაფრის უკან ამერიკელი აგენტურა დგას, რომლებიც რუსეთს და საქართველოს "საბითუმოდ და საცალოდ" ჰყიდიან, რითიც ანადგურებენ ამ ყვეყნების ხალხების ნამდვილ ხასიათს. თუმცა აქვე დასძინა, რომ ეკლესია არის ის ერთადერთი ტოტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, რომლის გადაჭრაც ჯერ ვერ მოახერხეს. (მაცაბერიძე, 2020)

"სააკაშვილმა დაბომბა მძინარე ცხინვალი, სააკაშვილის ბრალია ემბარგო, მისივე ბრალია რო ცუდი ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან. ამიტომ საზოგადოებას უნდა გადაერჩია ის და აერჩია სხვა. და ეს სხვა იყო თავისივე სივრცეში შობილი ოლიგარქი". (რესპოდენტი N1; 10.06.2022)

3.2 "ქართული ოცნება" და რუსეთთან ურთიერთობების განახლების სურვილი

ახალი ქართული მმართველი ძალა რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში რუსეთთან ურთიერთობების "დალაგებას" ცდილობს. პარტიის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ისიც კი განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ამასთანავე ქართული მხარე, აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე ალაპარაკდა. თუმცა რუსი ექპერტების თქმით ურთიერთობების დალაგება საქართველოს უფრო აწყობს, ამიტომაც კრემლი საქართველოს თავის პირობებს წაუყენებს. რუსულ-ქართული ურთიერთობების რეგულარიზაციისთვის ივანიშვილმა ახალი თანამდებობაც კი შექმნა და პოსტზე რუსეთში ყოფილი საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე დანიშნა. მისი პირველი ამოცანა, რუსეთში ქართული წარმოების ექსპორტის აღდგენა იქნება, რაც ქართული ოცნების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. რუსი ექსპერტები ზურაბ აბაშიძის კანდიდატურად პოზიტიურად განიხილავენ, რამდენადაც იგი დიდი პატივით სარგებლობს რუსეთში თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ზურაბ აბაშიძე ვერ გახდება რუსულ-ქართულ ურთიერთობებში წარმატების გარანტი რამდენადაც რუსეთს არ აქვს აუცილებლობა

ურთიერთობები განავითაროს საქართველოსთან. ამ აზრს იზიარებ ანდრეი ეპიფანცევიც და აღნიშნავს, რომ სწორედ ივანიშვილმა აქცია საკუთარ წინასაარჩევნო თეზისად რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა და არა პუტინმა. მისივე აზრით, მართალია ათასობით ქართველი ცდილობს რუსეთში მოხვედრას თუმცა ძალიან გაჭირდება მათი მიღება, იმ პირობებში როცა საქართველოში რუსეთს ოკუპანტს უწოდებენ და NATO-სკენ სვლას არ წყვეტენ. ეპიფანცევის აზრით რამდენიმე პირობის შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ურთიერთობები წინ წავიდეს; მაგალითად, ოკუპაციის მუზეუმის დემონტაჟი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან შემოსული მოქალაქეების სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და სარკინიგზო ხაზის აღდგენა, არა მხოლოდ მგზავრთბრუნვისთვის არამედ სამხედრო ტვირთების გადასატანადაც და ბოლოს საქართველომ უნდა გააუქმოს პარლამენტის აღიარებითი დადგენილება ჩერქეზთა გენოციდის შესახებ. (ავალიანი, 2012) ეპიფანცევმა ქართულ ოცნებაზე, 2012 წელს საინფორმაციო სააგენტო "საქინფორმთან" ისაუბრა. მან აღნიშნა რომ პარტია "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში პოპულისტური განცხადებებით მოვიდა, რომლის შესრულებაც გამარჯვების შემდეგ საკმაოდ რთულია ამიტომაც ივარაუდა, რომ მათ რამდენიმე წელში პრობლემები შეექმნებოდათ. ეპიფანცევის აზრით საქართველო წლების განმავლობაში ძალიან ჩამოშორდა რუსეთს. როცა არსებობს ერთგვარი ბლოკი - რუსეთი, სომხეთი და ირანი, ხოლო მის საპირწონედ ჩამოყალიბდა თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ყველა ნაბიჯი, რომელსაც საქართველო გადადგავს რუსეთისკენ გარკვეულ ვალდებულებებს დააკისრებს მას. თუმცა, ეპიფანცევი, სანამ საქართველო NATO-სკენ ისწრაფვის, ამ ურთიერთობების აღდგენას წარმოუდგენლად მიიჩნევს. მისივე თქმით, საქართველოს ნატო-ში გაერთიანება შეიძლება სავალალოც კი აღმოჩნდეს და მაგალითისთვის მოჰყავს ვარაუდი, რომ რა იქნებოდა 2008 წელს საქართველო რომ ნატო-ს წევრი ყოფილიყო?! პასუხად კი ვარაუდობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთი და ნატო საომარ მოქმედებებს განახორციელებდნენ.

კრიტიკას ნაკლებად შეხვდებით მაქსიმ შევჩენკოს კონცეფციებში "ქართული ოცნების" შესახებ. მეტიც, მაქსიმ შევჩენკო ქართულ ხელისუფლებაში მყოფთ, 120%-ით ქართველებს უწოდებს, რაც როგორც ჩანს კომპლიმენტია, რამდენადაც იქვე დასძენს,

რომ ასეთ ადამიანებთან არ შეიძლება არ იმეგობრო. 2014 წელს vestikavkaza.ru-ს ჟურნალისტის მიერ, რუსეთის პრეზიდენტის იმდროინდელ მრჩევლთან საერთაშორისო ურთიერთობებში, მაქსიმ შევჩენკოსთან გამოქვეყნებულ ინტერვიუში ნათლად ჩანს შევჩენკოს დამოკიდებულება, თუ რას ფიქრობს ბოლო პერიოდის საქართველოში არსებულ ორ მმართველ ძალაზე. ღარიბაშვილის ხელისუფლება ესაა 120%-ით ქართული, რომლის შემადგენლობაში არიან კარგი, მორწმუნე ადამიანები, რომლებიც იდეალურად სხედან სამუშაო მაგიდასთან და საქართველოს სააკაშვილის დანატოვარისგან წმენდნენ. შევჩენკოს აზრით, სწორედ ამ ადამიანებთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა. მაშინ როცა, სააკაშვილის მთავრობაში მყოფთ, უწოდებს ადამიანებს, რომლების საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, რომლებიც საზოგადოებას ატყუებდნენ და ევროპისაკენ სწრაფვას უანონსებდნენ. შევჩენკოს აზრით, სააკაშვილის მთავრობა ბღალავდა ქართულ ტრადიციებს, მართლმადიდებლობას, ეკლესიას, პატრიარქს და ყოველივე წმინდას. შევჩენკო ამავე ინტერვიუში ეხება გახმაურებული "ციხის კადრების" ამბავს, და აღნიშნავს, რომ ღარიბაშვილის თავრობას არ შეიძლებოდა არ დაეწყო სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მომდევნო მთავრობაც კრიმინალური იყოს, არამედ პირიქით მას მეტი ლმობიერების გამოჩენა მართებს. აქვე დასძენს, რომ "ქართული ოცნების" მმართველობის პირობებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სხვა ეტაპზეა: თუნდაც "კარასინი-აბაშიძის" მუდმივი შეხვედრები. ამდენად "ქართული ოცნების" წევრებს უწოდებს ადამიანებს, რომლებიც არ არიან იდეალურები ეთიკაში, მანერებში, სამაგიეროდ არიან რეალურები. თუმცა შევჩენკო აქვე სვამს რიტორიკულ შეკითხვას; "რამდენად ფლობენ რეალურ ძალაუფლებას საქართველოში, ეს ნამდვილი ადამიანები"?! ზემოთ ხსენებული ინტერვიუდან ორ წელში, შევჩენკო ახალ პრობლემაზე საუბრობს, რომლის ფარგლებში "ქართულ ოცნებას" კოალიციის შექმნას ურჩევს, რამდენადაც "ნაციონალებთან" ბრძოლის ფარგლებში შესაძლოა რესურსი არ ეყოს. შევჩენკო 2016 წელსაც საუბრობს "ქართული ოცნების" კეთილშობილებაზე, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ამის მიუხედავად ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია და ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეკონომიკურ სიძნელეებთან გამკლავება. ამ ყოველივემ კი განაპირობა ის, რომ საზოგადოებას სააკაშვილის

დაბრუნება სურს. შევჩენკო საუბრობს მესამე ძალის შესახებ, რომელიც მისი აზრით არც დასავლური და არც რუსული ინტერესების მატარებელი არ უნდა იყოს, არამედ პრიორიტეტად ქართული ეროვნული ინტერესები უნდა გააჩნდეს და ამ შემთხვევაში ექნება წარმატების საშუალება. ასეთ ძალად შევჩენკოს რელიგიური ჯგუფები მიაჩნია და აღნიშნავს, რომ საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს კათოლიკოს-პატრიატქი ილია მეორე. ამდენად შევჩენკოს აზრით, ილია მეორეს სახელით პოლიტიკაში წასვლა მომგებიანი იქნებოდა. ის ძირეული გარდაქმნების მომხრეა და თვლის რომ საქართველოს კონსერვატიული რევოლუცია სჭირდება. რომლის ფარგლებშიც ხელისუფლებაში ეროვნული იტნერესების გამტარებლები მოგვევლინებიან. შევჩენკო კვლავ ამერიკული ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსად გამოდის და ორიენტირებას ქართულ ინტერესებზე, კონკრეტულად მართლმადიდებლობაზე აკეთებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა განუახლდებოდა. (მაცაბერიძე, 2020)

3.3 ქართველი პოლიტიკოსის რუსული კავშირები

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხშირად ისმის პოლიტიკური სუბიექტების დახასიათება იმის მიხედვით, თუ ვისი ინტერესების გამტარებელია მაგალითად, "რუსეთის კაცია" ან "ამერიკის კაცი". ასევე არსებობს გავრცელებული აზრი, რომ რუსეთი გამუდმებით ცდილობს იპოვნოს საყრდენი ძალა, რომელიც საქართველოში რუსეთის ამოცანებს შეასრულებს. ოპოზიციის თქმით ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ლევან ვასაძეა, რომელმაც ბოლო წლებში დიდი ყურადღება მიიქცია რადგანაც, არაერთხელ გამოჩნდა რუს გეოპოლიტიკოსთან, ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგთან და ერთ-ერთ გამორჩეულ იმპერიალსიტთან ალექსანდრე დუგინთან ერთად. თავად ვასაძე კი აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრის შეხვედრის მთავარი მიზანი დუგინისთვის საქართველოზე წარმოდგენის შეცვლა იყო და იმაში დარწმუნება, რომ რუსეთს ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველო სჭირდება. ვასაძის მტკიცებით მის ჩანაფიქრს მიაღწია კიდეც და დუგინს წარმოდგენები შეაცვლევინა. "შეგიძლიათ აიღოთ კადრები რაებს ლაპარაკობს ის, 2015 წლამდე და შემდეგ, 2016 წლიდან საქართველოზე".

(on.ge, 2019) აქვე საინტერესოა გავიხსენოთ დუგინის ინტერვიუ "ერეკლეს გზასთან" სადაც დუგინი რუსულ პოლიტიკურ ელიტას აკრიტიკებდა იმის გამო, რომ ისინი არ ცდილობენ მოკავშირეები იყოლიონ საქართველოში და თავისივე ნებით უთმობენ ასპარეზს ამერიკის შეერთებულ შტატებს. დუგინის აზრით რუსეთს უნდა აინტერესებდეს საქართველოსთან კარგი ურთიერთობა და მეტიც, უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს ან სულაც შექმნას რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები. დუგინმა ისიც კი გააჟღერა, რომ რუსეთის მმართველ ძალებში არ არიან ეროვნული ინტერესების გამტარებლები. (მაცაბერიძე, 2021. გვ. 44-45) ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თითქოს დუგინმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, საქართველოში ჩამოყალიბებულიყო რუსეთის მოკავშირე პოლიტიკური ობიექტი, რომელიც იქნებოდა რუსული ორიენტაციის და მომხრე რუსულ-ქართული ურთიერთობების დალაგებისა. ამისთვის კი ალბათ ლევან ვასაძე შესაფერის კანდიდატად მიიჩნია. საქართველოში ვასაძისა და დუგინის კავშირებს დადებითი გამოხმაურება არ მოჰყოლია ოპოზიციის მხრიდან. მედიაპორტალი "მთავარი არხი" რომელიც ქართულ ოპოზიციურ მედიას წარმოადგენს 2021 წელს აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ვასაძეს რუსეთის მიერ გააქტიურებულ ფიგურას უწოდებს, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ცდილობს ქართულ პოლიტიკაში ცვლილებები განახორციელოს. ამავე სტატიაში საუბარია იმაზეც, რომ ვასაძე შესაძლოა ქართული ოცნების სატელიტი პროექტი იყოს (წოწონავა, 2021).

"დუგინს ბევრი ქართული კავშირები აქვს, მეუფე შიო, ვასაძე. ასევე ალტ-ინფოს კონტექსტი სადაც საუბრობდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე. საქართველო არ უნდა იყოს არც პროდასავლური არც პრორუსული ის უნდა იყოს პრო ქართული. რასაც მაგალითად ალტ ინფო ცდილობს რომ კულტურული კონსერვატიზმი შემოიტანოს ქართულ დისკურსში და რასაც რუსეთი სთავაზობს იდეოლოგიურად საქართველოს. ობიექტივში მოწვეული სტუმრებიც ხშირად ციტირებენ მას. დუგინს კი ვხვდებით ისეთ გამოცემებში რომლებიც დაკავშრებულია კონსერვატიულ დაჯგუფებებთან მარშელებთან, ალტ-ინფოსთან და ა.შ" (*რესპოდენტი N1; 10.06.2022)*

"კრემლის ახალი მოთამაშე" ასე აფასებს, კიდევ ერთი ოპოზიციური მედია "TV პირველი" ვასაძეს. ოპოზიციის თქმით ვასაძე ცხადად მოღალატეობრივ საქმიანობას

სჩადის, რამდენადაც საქართველოს მტერთან -დუგინთან ურთიერთობს. “ნაციონალური მოძრაობის” ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ ისიც კი განაცხადა, რომ მისი აზრით ვასაძეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა მისცენ. “ლელოს” წევრის ანა ნაცვლიშვილის აზრით, კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ვასაძისა და დუგინის შეხვედრით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხდება რუსეთში, არაფორმალურ გარემოში. თავის მხრივ ლევან ვასაძე ინტერვიუებში საუბრობდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ერთი კონკრეტული ორიენტირი დამღუპველია, და რომ მრავალპოლუსიან სამყაროში შესაძლოა დემონსტრაციულად “გალახული გოშია” აღმოჩნდეს საქართველო, ისევე როგორც ეს მოხდა 2008 წელს. მისივე თქმით, საქართველომ ყველას გასაგონად უნდა განაცხადოს, რომ უნდა იყოს გაერთიანებული სუვერენული ქვეყანა. რის სანაცვლოდაც საქართველო მზადაა ესაუბროს ყველა მხარეს, როგორც ღირსეულს. თავის მხრივ დუგინი ვასაძეს ჭეშმარიტ პატრიოტს და ნაციონალისტს უწოდებს, რომელიც არც პროამერიკელია თუმცა არც პრორუსი და კრემლს ურჩევს, რომ ვასაძის ფიგურას ყურადღებით დააკვირდეს. (მაცაბერიძე, 2021)

“ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთი მუდმივად ცდილობს საქართველოში დასაყრდენი იპოვოს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებსა თუ პირებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. ლოგიკურადაც რომ დავფიქრდეთ, როდის შეუქია რუსეთს საქართველოს მთავრობა მისი დემოკრატიული რეფორმების გატარებისთვის, ან იმის გამო რომ ქვეყანაში რაიმე განვითარდა და წინ წავიდა. ისინი აქებენ მათ ვინც უბრალოდ იმ ინტერესების გამტარებელია, რაც რუსეთს აძლევს ხელს”. (რესპოდენტი N4; 07.06.2022)

თავი IV. რუსეთის “რბილი ძალა” საქართველოში

“რბილი ძალა” რუსეთისთვის საკმაოდ ახალ მცნებას წარმოადგენს. ოფიციალურად საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში 2007 წელს გაჩნდა. როგორც წესი, რუსეთში რბილი ძალა პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად განიხილება და მის შინაარსობრივ მხარეს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თუმცა მთლიანად ცენტრალიზებულია და რუსეთის მთავრობის მიერ იმართება, მეტიც 2008 წელს ინსტიტუტადაც კი ჩამოყალიბდა,

რომლის მთავარ ამოცანასაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ რუსეთისთვის კარგი იმიჯის შექმნა წარმოადგენს. რუსეთი საკუთარი იდეოლოგიის, ღირებულებების და კულტურის გავრცელებისათვის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს, მათ შორის მედიასაშუალებებს. ასევე აღსანიშნავია რელიგიური სტრუქტურების, კერძოდ საპატრიარქოს როლიც. რელიგიური სენტიმენტები განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება ისეთ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთანაც საზიარო კონსერვატიული ღირებულებები და ისტორია გააჩნიათ. რუსეთისთვის "რბილი ძალის" გამოყენების ერთ-ერთი გამორჩეული ასპარეზი სამხრეთ კავკასიაა, სადაც "ხისტი ძალაც" არაერთხელ გამოიყენა, თუმცა საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო ვექტორი თავისკენ ვერ მოაბრუნა. ამგვარი ვითარების გამო, რუსეთმა ნელ-ნელა შეცვალა ტაქტიკა და "ხისტ ძალასთან" ერთად დაიწყო "რბილი ძალის" გამოყენებაც.

4.1 მართლმადიდებლობის ფაქტორი

საქართველოში არსებული გარკვეული ჯგუფები პერმანენტულად საუბრობენ დასავლეთის გარყვნილობაზე, რო სწორედ მათი პირმშოა ჰომოსექსუალიზმი, რომელიც რისკის ქვეშ აყენებს ჩვენს ტრადიციებსა და ადათ-წესებს. ასევე ხშირად შეხვდებით მოსაზრებებს, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ებრძვის მართმადიდებლობას. ამის საწინააღმდეგოდ კი რუსეთი საზოგადოებას ცხოვრების ტრადიციულ წესს სთავაზობს და კონსერვატიული ღირებულებების დამცველადაც გვევლინება. (დავითაშვილი ა., 2015) რუსულ-ქართული ურთიერთობების განხილვისას ხშირად სწორედ რელიგიის მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე მიუთითებენ. მაგალითად ზაურ ნაჭყებია, საინფორმაციო სააგენტოს "ივერიონის" დირექტორი ხშირად ჩნდება Geworld-ის ვებ გვერდზე და სხვადასხვა მოვლენებს ეხმიანება. მანვე გამოაქვეყნა პოსტი "იმპერიული რუსეთი თუ ლგბტ-სკენ მიმავალი დასავლეთი?!" სადაც აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ ის რუსეთთან დაბალანსებული ურთიერთობების მომხრეა და ამ მიმართულებით ხელისუფლება არსებით ნაბიჯებს ვერ დგავს. აქვე ანვითარებს რიტორიკულ შეკითხვას; "რა უფრო მნიშვნელოვანია დასავლეთთან კეკლუცობა თუ საკუთარი ისტორიული ფასეულობებისა და იდენტობის გადარჩენა?!" (თ. კუპრეიშვილი, 2015)

რელიგია, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი და რუსული “რბილი ძალა” ბევრი მკვლევარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ამავე თემის ირგვლივ თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, “რელიგია და რბილი ძალა სამხრეთ კავკასიის რეგიონში”, რომელსაც ორგანიზება ფრიბურგის უნივერსიტეტმა გაუწია და შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SNSF) მიერ იყო დაფინანსებული. თბილისში 18 მკვლევარი შეიკრიბა სხვადასხვა ქვეყნიდან და თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს, რომლებზეც სამი წელი მუშაობდნენ. მათ შორის იყო “მართმადიდებლობა, როგორც რბილი ძალა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში”. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა კორნელი კაკაჩიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსული მართმადიდებლური ეკლესიის და რბილი ძალის გავლენისა საქართველოს ეკლესიაზე, ამ ორი ქვეყნის მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორისაც არის ე.წ “წითელი ხაზები” რაც ზემოთ აღნიშნული კვლევითაც დადასტურდა (წულაძე, 2017). აკადემიური ნაშრომების ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სამეცნიერო გამომცემლობა, Routledge-მა 2017 წელს გამოუშვა ანსგარ იოდეკეს ავტორობით წიგნი, ზემოთ ხსენებული სახელწოდებითვე; “რელიგია და რბილი ძალა სამხრეთ კავკასიის რეგიონში”. წიგნი ეხება რელიგიის როლის კვლევას, რათა აღწეროს და ახსნას, თუ როგორ ერევა ტრანსნაციონალური რელიგიური ურთიერთობები ტრანსნაციონალურ პოლიტიკურ ურთიერთობებს. ხოლო “რბილი ძალის” კონცეფცია არის მნიშვნელოვანი გამოკვლევის საწყისი წერტილი, რათა განისაზღვროს რელიგიის მნიშვნელობა რეგიონში. (Jodicke, 2018) საბოლოო ჯამში, არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მართმადიდებლური ეკლესიის როლი კრემლის საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ კრემლსა და რუსულ ეკლესიას შესაძლოა განსხვავებული ინტერესებიც ჰქონდეთ, სხვადასხვა საკითხების გადასაჭრელად აქტიურად მუშაობენ ერთად. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ რუსული ეკლესია რუსული პოლიტიკის გაგრძელებაა, რამდენადაც რუსული პოლიტიკა აგებულია ტრადიციებზე და კონსერვატიზმზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რუსეთი იმპერიის საგარეო პოლიტიკის ექსპანსიის მთავარი გამართლება მართმადიდებლობა იყო. ეს იდეოლოგიური დოქტრინა განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონებში და კავკასიაში გამოიყენებოდა, სადაც ოსმალეთის იმპერია რუსეთის კონკურენტად მოიაზრებოდა. და დღეს, ორი

საუკუნის მერეც რელიგია კვლავ არ კარგავს აქტუალობას საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. მითუმეტეს 21-ე საუკუნეში, როცა სამხედრო დაპირისპირება სულ უფრო მეტ თანხებთანაა დაკავშირებული, დიგიტალიზაციამ ქვეყნებს მისცა საშუალება სამხედრო დაპირისპირებებთან ერთად მსგავსი მეთოდებიც აქტიურად გამოეყენებინათ და რბილი ძალის თუ დეზინფორმაციის საშუალებით დაერეგულირებინათ საზოგადოების განწყობები. რელიგია განსაკუთრებით ძლიერი იარაღი აღმოჩნდა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში. მაგალითად მოლდოვა, სადაც რუსეთთან დაკავშირებული სასულიერო პირები აქტიურად იბრძოდნენ რათა ხელი შეეშალათ დასავლური ინტეგრაციისთვის. (ქორქაშვილი, 2021) რელიგიურ სენტიმენტებზე მიგვითითებს რუსი პუბლიცისტი და ჟურნალისტი მაქსიმ შევჩენკოც. მისი თქმით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საკამოდ ღრმაა, რომელიც ურთიერთ პატივისცემითა და ერთობლივი სასულიერო მოღვაწეობით, მონაზვნობის ტრადიციებით არის სავსე. შევჩენკო 2015 წელს ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ რუსები და ქართველები ერთნაირ სულიერ ასკეტიზმს აღიარებენ, რადგან ერთნაირად მართლმადიდებლები არიან. რამდენადაც, რუსეთისთვის საქართველო ყოველთვის აღიქმებოდა საერთო მართლმადიდებლური სივრცის ნაწილად, ამ ორი ქვეყნის ეკლესიებს შორის მუდმივად მიმდინარეობდა დიალოგი. აქვე დასძენს, რომ სხვანაირად არც შეიძლება იყოს მაშინ, როცა ივერიის ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანოა რუსეთში. შევჩენკო პატარა ისტორიულ მიმოხილვასაც გვთავაზობს, და იხსენებს დროს, როცა რუსეთისა და საქართველოს შორის დინასტიური ქორწინებები იმართებოდა. ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთ ყველაზე ძლიერი სწორედ ქართველის ხელმძღვანელობის დროს იყო, როცა რუსეთის ბატონობის ქვეშ თითქმის კაცობრიობის ნახევარი მოექცა და რუსეთის გავლენამაც თავის მაქსიმალურ მაშტაბებს მიაღწია. ამ ყველაფრის ფონზე კი, შევჩენკოს რუსეთისა და საქართველოს დაშორება საშინელ შეცდომად მიაჩნია. რომელშიც დამნაშავედ არა მხოლოდ, რუსეთის 1990-იანი წლების ხელმძღვანელობას თვლის, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალისტ მმართველებსაც. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ისევ რელიგიისკენ მიჰყავს, რომ საქართველოსა და რუსეთის განხეთქილება უსერიოზულესი დანაკარგია მართლმადიდებლური სივრცისათვის. შევჩენკო აქვე იტოვებს იმედს, რომ თუ ორ სახელმწიფოს შორის

ურთიერთობები არა, ორ ხალხს, ქართველებსა და რუსებს შორის ურთიერთობები აუცილებლად აღდგება, რამდენადაც ისინი გრძობენ ურთიერთმიზიდულობას, და სწორედ ეს ბადებს იმედს რომ ღირებულებათა საერთო სივრცე კვლავ აღდგება. (სპუტნიკი, 2015) "კარგია, რომ რუსეთის მეზობლად არიან სომხეთი და სამხრეთ ოსეთი, მაგრამ უსაქართველოდ რუსეთი ვერ იქნება სრულყოფილი სახელმწიფო". - მაქსიმ შევჩენკო

მართლმადიდებლობით აპელირება 2008 წლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, მითუმეტეს როცა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, კრემლისგან განსხავებით სცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ფაქტს, რომ საქართველოც და რუსეთიც მართმადიდებლური ქვეყნებია ხშირად იყენებენ ქართველი თუ რუსი პოლიტიკოსები, ამ გარემოებას ხაზს უსვამდა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც. თუმცა ფაქტია, რომ "ერთმორწმუნეობა" ვერ აჭარბებს პოლიტიკურ ინტერესებს. მაგალითად 2008 წლის ომის წინა პერიოდში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე აქტიურად ცდილობდა რუსეთის ხელისუფლების პოზიცია შეეცვალა და საქართველოს ანექსია თავიდან აეცილებინა, თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად მომავალი ვერ შეცვალა (მაცაბერიძე, 2021)

"რელიგია ვერ შეძლებდა ომის შეჩერებას, ის იტყოდა დავნებდეთ. თუმცა რომ არა ამერიკიდან გამოგზავნილი გემი ომის გაჩერებას ვერ შევშძლებდით, თორემ რუსული ტანკები ახლა თბილისში იჯდებოდნენ". (რესპოდენტი N1; 10.06.2020)

რელიგიაზე საუბრობს რუსი იმპერიალისტი, ალექსანდრე დუგინიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი კავშირი ეკლესიათან საკმაოდ ზედაპირულია რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირებას, დიპლომატებისა და პოლიტიკოსების გარეშე, კულტურულ თუ რელიგიურ ფასეულობებზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად თვლის. გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად დუგინიც წარმატებით იყენებს რელიგიას და რუსეთისა და დასავლეთის შედარებას ახდენს. მისი თქმით, დასავლეთი ანადგურებს ყველაფერს; რელიგიას, ტრადიციებს, ოჯახს. მაშინ როცა რუსეთი კეთილშობილების ეტალონი და ტრადიციული ქვეყანაა. რომლისთვისაც ძვირფასია რელიგია და რწმენა, ოჯახის ერთგულება და ა.შ. განსხვავებით ამერიკისაგან. (მაცაბერიძე, 2020) 2016 წელს ისიც კი განაცხადა, რომ რუსეთს ქართულ პოლიტიკურ

წრეებში მოკავშშირეები არ ჰყავს, თუმცა მას ჰყავს ქართველი ერი, ღრმა იდენტობითა და მართლმადიდებლური ეკლესიით. ასევე დუგინმა ძალიან მოწიწებით ახსენა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე, რომელთანაც უნდა დაიდოს ისტორიული პაქტი. (მაცაბერიძე, 2020. გვ.41)

4.2 ეკონომიკური ფაქტორი

ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის ნანგრევებზე დარჩენილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი გამუდმებით ცდილობს გლობალური მოთამაშის ამპლუაში მოგვევლინოს, შეინარჩუნოს ეკონომიკური ცენტრი და მის ხელთ არსებული ბერკეტები პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტოაციის სამართავად გამოიყენოს. რუსეთის ფედერაცია ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებულ სტრატეგიულ ობიექტებს და სახელმწიფო კომპანიებს შეისყიდის, რათა ზეგავლენის ბერკეტები კიდევ უფრო გაზარდოს. დუგინის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებია სწორედ ის ძალა, რომელიც ცდილობს მსოფლიო ამერიკული დოლარის ინტერესებში მოაქციოს, რომ მათ გეოპოლიტიკურ მიზნებში მნიშვნელოვანი წვლილი უკავია ეკონომიკას. თუმცა ფაქტია, რომ რუსეთსაც იგივე მექანიზმები აქვს. სწორედ ეკონომიკური და ენერგო ფაქტორებია ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, რომლის გამოყენებითაც რუსეთი ცდილობს საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება შეზღუდოს. ღია წყაროებში არსებული მონაცემთა ანალიზის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სულ უფრო იზრდება საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემის ფაქტები. საკითხის აქტუალურობას ქართველი ეკონომისტები ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ არსებული ვითარება უნდა გამოსწორდეს, რისთვისაც აუცილებელია ქართული სადაზვერვო სამსახურების აქტიური საქმიანობა, რომელიც არა მხოლოდ რეაგირებას არამედ პრევენციას მოიაზრებს. ოპოზიციის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა, რომ საქართველო რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსეთზე, საქართველოს დეოკუპაციის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და დემორკატიული ინსტიტუტების გაძლიერების მთავარი საფუძველია. (ჯამბურია, 2019)

“დუგინი აღიშნავდა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, რეალობა ველარ შეიცვლებოდა. რუსეთმა უკვე აღიარა ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ამას ველარ უარყოფდა. თუმცა რუსეთს შეუძლია ქართველებს შესთავაზოს პრივილეგირებული სავაჭრო ურთიერთობები. ჰუმანიტარულ და სავაჭრო ურთიერთობებს იყენებენ რომ საქართველო დამოკდიებული გახადონ მათზე”. (რესპოდენტი N2; 2020)

ექსპერტთა ანალიზით, რუსეთი დღეს ქვეყნის მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. მიუხეავად იმისა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ საექსპორტო შემოსავალი საკმაოდ დაეცა დღესდღეობით რუსული ბაზარი კვლავ მოწინავეა საქართველოსთვის. გარდა ვაჭრობისა, რუსეთი ეკონომიკის სხვა დარგებშიც ლიდერობს. მათ შორის; ტურიზმში, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაში რაც ბოლო წლების განმავლობაში სავალალოდ გაიზარდა, მშენებლობაში და ა.შ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით რუსული ვალუტის შემოდენა ხდება, რასაც რუსეთის ფედერაციაში დიდი ქართული დიასპორის არსებობა განაპირობებს. (ბრეგვაძე, 2019) სხვათა შორის ამ ფაქტს კარგად იყენებენ რუსეთში რუსი პოლიტიკოსები, მაგალითად ჟირინოვსკი ერთ-ერთ განცხადებაში ამბობდა, რომ “თეთრი აღარ უნდა გაიგზავნოს საქართველოში რუსეთიდან, ისინი გვლანძღავენ და ჩვენ ფული ვუგზავნოთ კარგად საცხოვრებლად?” ჟირინოვსკის უარყოფითი დამოკდიებულება ჰქონდა ზოგადად ეკონომიკურ ურთიერთობაზეც. მისი აზრით რუსეთს რადიკალური ზომები უნდა მიეღო, გაეწყვიტა საქართველოსთან ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობა, გაეუქმებინა ტურები და შეეჩერებინა გზავნილები. თუმცა რეალურად სხვა რეალობა გვაქვს სახეზე…

“დღეს, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ვხედავთ, რომ საქართველო რუსებისთვის ერთგვარ თავშესაფრადაც კი იქცა, ეკონომისტებს შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით უხარიათ კიდეც, საქართველოში ამდენი ტურისტის შემოდინება, მიუხედავად იმისა რომ მათი აფსოლუტური უმრავლესობა რუსია. განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, ძალიან მოენატრა საქართველოს ტურისტები, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ხომ სრული კატასტროფაა. რუსები ყიდულობენ ბინებს და აქ სახლდებიან და ღმერთმა იცის მოისურვებენ კი წასვლას? გარდა ამისა უკრაინის ომისა

და დიდი კრიზისის ფონზე, უბრალოდ სირცხვილია, რომ ჩვენი მეგობრის მტერი, და პირველ რიგში ჩვენი დიდი მტერი ასე თავისუფლად დადიოდეს ჩვენს ქუჩებში." (რესპოდენტი N4; 07.06.2022)

ჟირინოვსკი იმასაც იძახდა, რომ საქართველო მარტო "ბორჯომით" ვეღარ უნდა გამომძვრალიყო და რუსეთს მისთვის სრული ბლოკადა მოეწყო, მათ შორის შეეწყვიტა საქართველოსთვის ენერგიის მიწოდება. ჟირინოვსკისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებდა დუგინი, რომელიც ფიქრობდა რომ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა ხელს შეერთებულ შტატებს მისცემდა, რომ კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინა მისი გავლენები ამ რეგიონში. ამიტომ დუგინის აზრით, არა ბლოკადა არამედ ეკონომიკური და ენერგეტიკული ზეწოლის გაძლიერებაა მნიშვნელოვანი. თუმცაღა დუგინის თქმით მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა კარგია, მთავარი არ არის და მთავარი ადამიანური ღირსებაა. საბოლოოდ, სახეზე გვაქვს შემდეგი სიტოაცია; რუსეთი სულ უფრო მეტად შემოდის ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკის გავლით ცდილობს დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაშიც.
"მეტი რუსული კომპანია ნიშნავს მეტ რუს ფულს, მეტი რუსული ფული მეტ რუსულ გავლენას, მეტი რუსული გავლენა მეტ რუსეთის მოქალაქეს საქართველოში, რასაც თავისთავად მოჰყვება რუსული ენის გავლენის ზრდა. საბოლოოდ კი არ არის გამორიცხული მივიღოთ იგივე შედეგი რაც ოდესღაც აფხაზეთში და სამაჩაბლოში. შემდეგი შეიძლება ბათუმი იყოს, რომელიც სხვათაშორის სავსეა რუსებით და რუსულად მოსაუბრე ხალხით. რუსეთიც მოვა და დაგვაბრალებს, ჩემს ხალხს ჩაგრავთ რომელიც ძალიან ბევრი ცხოვრობს ამა და ამ ტერიტორიაზე, ამიტომაც მისი საქართველოსგან გამოყოფა უნდა მოხდესო…არაფერია გამორიცხული". (რესპოდენტი N4; 07.06.2022)
შედარებით რბილი ნარატივის მატარებელი იყო შევჩენკო, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა, რამდენადაც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მეტ მოგებას სწორედ რუსეთისგან ნახულობს, ამაში იგულისხმება მუდმივი ბაზარი პროდუქტებისთვის თუ ინვესტიციებისთვის. აქვე აღნიშნავს, რომ ყველაზე მდიდარი

ქართველები სწორედ რუსეთში ცხოვრობენ და არა ამერიკაში. ამდენად ფულადი გზავნილების ძირითადი მასა, სწორედ რუსეთიდან შედის საქართველოში. საინტერესო აქცენტებს სვამს და ქართულ კულტურას არც თუ ისე სახარბიელოდ მოიხსენიებს, რამდენადაც მას დაცემულ მდგომარეობაში მყოფს უწოდებს, რადგან აღარ ჰყავს რუსი მაყურებელი, რომელიც შევჩენკოს აზრით ყოველთვის იყო მთავარი მომხმარებელი ქართული კულტურისთვის. აქვე საუბრობს ორმხრივ საჭიროებაზე რუსეთსა და საქართველოს შორის. შევჩენკოს აზრით, რუსეთი თავის მხრივ საქართველოსთან კავშირის გარეშე კავკასიაში მშვიდობას ვერ შეინარჩუნებს. ხოლო საქართველოს, რუსეთის გარეშე არ ძალუძს საკუთარი ნაციონალური კულტურის განვითარება. შევჩენკო ისეთ მნშვნელოვან და სენსიტიურ შემთხვევებს როგორიცაა; მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმება, სიწმინდეების გატანა, მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული ინტელიგენციის დახვრეტა და აშ. ადმინისტრაციულ ნიუანსებს უწოდებს, თუმცა არ თვლის იმ დონის მნიშვნელოვან მოვლენებად, რომელსაც შეეძლო ქართულ-რუსული კავშირების გაწყვეტა და დასამარება. (მაცაბერიძე, 2020)

"ძალიან საინტერესო სფეროა, რუსულ-ქართული ეკონომიკა. თუნდაც იმ კუთხით შევხედოთ, რომ 2008 წლის ომის დასრულების შემდეგ, რუსეთი აჩვენებდა მსოფლიოს მიუხედავად სამხედრო დაპირისპირებისა, შესაძლებელია მომავალში თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში. აი ჩვენ ომი გვქონდა საქართველოსთან, მაგრამ დღეს ისევ ვთანამშრომლობთ. არ გამოვრიცხავ, რომ ეს თეორია კიდევ უფრო აქტულაური გახდეს დღეს, უკრაინასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ომია. მისი დასრულების შემდეგ, რომ გავა რაღაც პერიოდი შესაძლებელი იქნება ვაჭრობის, ტურიზმის და ა.შ. აღდგენა". (რესპოდენტი N3; 14.06.2022)

4.3 მედიის როლი

რუსული საინფორმაციო ომი დღითი-დღე აქტუალური ხდება, რომელიც ძირითადად მიმართულია დასავლური დემოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედაა გამოხატული საქართველოში, რამდენადაც საქართველოს

არჩეული აქვს დასავლური კურსი, რუსეთი კი ამის დიდი წინააღმდეგია. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2017 წლის ანგარიშებში ქვეყნის ერთ-ერთ დიდ საფრთხედ ტერორიზმთან ერთად, სწორედ ანტიდასავლური პროპაგანდაა მიჩნეული. 2016 წელს ევროპარლამენტმა სპეციალური რეზოლუციაც კი მოამზადა, რომელიც რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებდა, რამდენადაც კრემლის მიზანი ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭება იყო (Report, 2016). ამავე წლის რუსეთის საგარეო დოქტრინაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ რუსეთის ამოცანაა ეფექტური საინფორმაციო კამპანია ჩაატაროს ყველგან, სადაც რუსული ინტერესი წინაღობებს აწყდება და ამ გზით მართოს საზოგადოებრივი აზრი (Ireland, 2016). რუსული პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო აქტორად მედიასაშუალებები Russia Today და Sputnik-ი შეიძლება დავასახელოთ. "Russia Today" პრეზიდენტის დავალებით შეიქმნა, ასზე მეტ ქვეყანაში მაუწყებლობს, და მისი მთავარი მიზანია მსოფლიოს გადასცეს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მაგრამ რუსული თვალსაზრისით. საქართველოში რუსული პროპაგანდის გავრცელებას ფართო ისტორია აქვს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული. დღესაც აქტუალურ საკვლევ საკითხს წარმოადგენს მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ კვლევითი ჯგუფია "მედიის განვითარების ფონდი", რომელმაც 17 მედია საშუალება შეისწავლა. მათ შორის - სატელევიზიო, ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემები. ამ მედია საშუალებებში 2017 წელს 2000-მდე ანტიდასავლური კომენტარი გაჟღერდა. მათგან ანტიდასავლური გზავნილების მთავარ წყაროდ რამდენიმე მედია საშუალება გამოვლინდა მათ შორის; "Geworld.ge", "TV ობიექტივი", "საქინფორმი" და "ასავალ-დასავალი" (ჭანტურიძე, 2018).

"ცენტრალური მედია საშუალებები რუსი პოლიტიკოსების რომანტიზებას პირდაპირ ვერ ახდენენ, ტაბუ დადებულია. ამას აკეთებენ ოფიციალურად გაცხადებული პრორუსული დაჯგუფებები, მაგალითად ალტ-ინფო, ერეკლე მეორეს საზოგადოება და ა.შ.". (რესპოდენტი N2; 13.06.2022)

ჩვენს მიერ შესასწავლი ინტერვიუები, რომლებიც რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციებს შეიცავს, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ჩავთვალოთ პროპაგანდის გავრცელების საშუალებად, რამდენადაც ბევრი მათგანი შეიცავს სწორედ ისეთი სახის მესჯიებს, როგორიცაა მაგალითად, შევჩენკოს ფრაზები: "ყველაფრის უკან ამერიკელები

დგანან", "ალასანიამ კა გე ბეს პროფილის სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა", "ამერიკელები საქართველოში გადატრიალებას ამზადებენ". ამის საპირწონედ კი რუსეთზე ყოველივე კარგს ლაპარაკობენ, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როცა შევჩენკო ქართული ისტორიის დამცველად მოგვევლინა და პუტინს მატყუარა უწოდა. მაგალითად, "რუსმა ჯარისკაცებმა იხსნა საქართველო", "რუსების სისხლი იღვრებოდა საქართველოს საზღვარზე", "რუსი ჯარისკაცი ყოველთვის იცავდა ქართველებს", "რუსულ ისტაბლიშმენტში ქართველებს სერიოზული ადგილები აქვთ" და სხვა. (მაცაბერიძე, 2020)

რუსული პროპაგანდის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია საბჭოთა კავშირის რომანტიზება, რომელსაც განსაკუთრებით დუგინთან ვხვდებით, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის იდეა სანუკვარია და მისი ნგრევა გეოპოლიტიკურ ტრაგედიად განიხილება. მაგალითად მსგავსი ფრაზით: "საბჭოთა პერიოდში, ბევრი ქართველი იყო ხელმძღვანელ პოზიციებზე". სსრკ-ს რომანტიზებას ახდენს ეპიფანცევიც; "საბჭოთა ქართველები ცხოვრობდნენ მდიდრულად", "საბჭოთა კავშირმა საქართველოს მისცა უსაზღვრო ბაზარი თავისი მოსავლის მეტად მაღალ ფასებში გასაყიდად, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში ეღირებოდა იგივე მოსავალი", "საბჭოთა კავშირში ყველას ერთნაირი შესაძლებლობა ჰქონდა", საბჭოთა ხელისუფლებისგან და ხალხისგან ნაფერები საქართველო" და სხვა მრავალი. აქვე მინდა აღვნიშნო, ერთ-ერთი ინტერვიუ რომელიც გაზეთ "ერეკლეს ზგაში" დაიბეჭდა. ინტერვიუ 2010 წლით თარიღდება. მაშინ როცა 2008 წლის აგვისტოს ომიდან სულ რაღაც ორი წელია გასული, ჟურნალისტი რუს ოკუპანტს და იმპერიალისტს, რომელიც რუსი ჯარის თბილისის შემოყვანის მთავარი მომხრე იყო, განსაკუთრებული მოწიწებით ესაუბრება. გასაგებია, მისი პროფესიული ეთიკა გამორიცხავს კიდეც რესპოდენტთან უხეშ მიმართვას მაგრამ აქ ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა კითხვამ, თუ როგორ იყო ფორმულირებული თავად ჟურნალისტის მიერვე; "ქართველი ხალხი სცილდება რუსეთს, რამდენად სამწუხაროც არ უნდა იყოს, ელემენტარული რუსული ენაც ავიწყდებათ, რომელიც ადრე ქართველებმა კარგად იცოდნენ", ეს კონკრეტული კითხვა ცხადყოფს რომ აღნიშნული მედიაპლათფორმა რუსული იდეოლოგიის მატარებელია და თავად მედია გამოშვების მთელი პერსონალიც ჩართულია რუსული პროპაგანდის გავრცელებაში. (მაცაბერიძე)

პროპაგანდისტული მედიის კიდევ ერთ ხელჩასაჭიდს წარმოადგენს რელიგიური, საკრალური თემები. რომლის ფარგლებშიც რუსეთის, როგორც ჩვენი ერთმორწმუნე ძმის დადებით კონტექსტში წარმოჩენა ხდება. რელიგიური ფაქტორბით განსაკუთრებით მაქსიმ შევჩენკო აპელირებს; "რუსეთი და საქართველო ერთობლივ სულიერ ასკეტიზმს აღიარებს", "საჭიროა შეიცვალოს მიხეილ სააკაშვილის დროინდელი პროამერიკული ფრაზეოლოგია და ორიენტირება საქართველოს ინტერესებზე და მართლმადიდებლობაზე მოხდეს", "ადრე საქართველოში იყვნენ ადამიანები, ვინც ევროპისკენ წინსვლას აანონსებდნენ, ბღალავდნენ ქართულ ტრადიციებს და უგულვებელჰყოფდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას" და ა.შ. (მაცაბერიძე)

ამ ყოველივედან გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვკვეთოთ რუსული პროპაგანდისტული ნარატივის შესახებ; რუსეთი მიზანია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისადმი უნდობლობლობის დათესვა, რუსეთის და მისი კულტურული ფასეულობების რომანტიზება, ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხის დემონსტრირება, და დასავლეთის დემონიზება, როგორც მართლმადიდებლობისთვის საფრთხის შემცველი რეგიონის.

დასკვნა

კვლევის პროცესში რამდენიმე საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. პირველ რიგში ის, რომ რუსეთს დღეს საქართველო იმდენად აინტერესებს, რამდენადაც არ სურს სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს გავლენის ზრდა, რადგან საკუთარ საზღვრებთან ახლოს ნატო-ს ბაზების არსებობას საფრთხედ აღიქვამს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არ გააჩნია არანაირი ბერკეტი რუსეთის წინააღმდეგ, არ გააჩნია რაიმე კოზირი რითიც შეუძლია რუსეთთან ვაჭრობა, იმის შესახებ რაც საქართველოს ინტერესებშია. ხოლო რაც შეეხება რუსეთს, მას ასეთი ბევრი ბერკეტი გააჩნია. მართალია ეპიფანცევი აღნიშნავდა, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან შეერთების შემთხვევაში რუსეთი დაკარგავს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შემაკავებელ საშუალებასო, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთი გამონახავს სხვა საშუალებებს, ისევე როგორც 2008 წელს. რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციებში გამუდმებით ვხვდებით აზრს, რომ გამოუვალ

მდგომარეობაში რუსეთი მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალაც საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა თუ საქართველო "ჭკვიანად" მოიქცევა ის თავისი გავლენის ზრდას რბილი ძალებით გააგრძელებს.

მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების მომავალიც, რომელთან მიამრთებაშიც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება საქართველოს მთავრობაში, ან როგორი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდება რუსეთთან. რუსეთის დამოკიდებულება არ შეიცვლება, მათ უკვე აღიარეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, შესაბამისად თავიანთ ნათქვამს უკან არ წაიღებენ.

რაც შეეხება "რბილ ძალას" მისი გამოყენება სულ უფრო და უფრო იზრდება საქართველოში. მართალია ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთს არ განუხორციელებია არც ერთი მაშტაბური ეკონომიკური ან საგანმანათლებლო პროგრმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოზე გავლენას კიდევ უფრო გააძლიერებდა, თუმცა აღნიშნა რომ ბოლო პერიოდში საკმაოდ მომრავლდა მარგინალური ძალები რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცდილობენ. დანარჩენ რესპოდენტთა უმრავლესობამ კი ყურადღება ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობაზეც გაამახვილა, მითუმეტეს იმ პირობებში როცა რუსეთს უამრავი სანქცია დაუწესდა და რიგი პრობლემების გადაჭრას სწორედ საქართველოს მეშვეობით ცდილობს. ამდენად, რბილი ძალა საკამოდ დიდ პოლიტიკურ მექანიზმს წარმოადგენს რუსეთისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ პროპაგანდის ლომის წვლილი რუსულ გეოპოლიტიკაში. მაგალითად საქართველოს ისტორიის დამახინჯებაც პროპაგანდისტული მექანიზმია რადგან შეძლონ ფაქტების და მოვლენების თავისებური გამართლება და ახსნა.

საბოლოო ჯამში, რომ შევაფასოთ რუს გეოპოლიტიკოსთა კონცეფციები, ნათელია, რომ 2008 წლის შემდეგ მილიტარისტულ საშუალებებზე ნაკლებ აქცენტს სვამენ და ამის საპირწონედ რელიგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფასეულობებზე აპელირებენ. მაგრამ ეს იმ პირობებში, სანამ საქართველოში რუსეთისთვის მეტ-ნაკლებად ასატანი ძალა იქნება ხელისუფლებაში და საქართველოს ნატოში შესვლის საქმე არ დადგება დღის წესრიგში, საქართველოს ომი არ ემუქრება. ეს არ ნიშნავს რომ რუსეთი დათმობს გავლენის სფეროს საქართველოში, მაგრამ მის შენარჩუნებას რბილი ძალის პოლიტიკით შეეცდება: ყოველდღიურად მედიაში პროპაგანდით, გაზრდილი ეკონომიკური

გადაჯაჭვულობით საქართველოსა და რუსეთს შორის, და რელიგიური ფაქტორით კონკრეტულად ერთმორწმუნეობაზე აპელირებით. მაგრამ მაშინვე, როცა რუსეთი იგრძნობს საფრთხეს, რომ რბილი ძალის გრძელვადიანი პოლიტიკა ვერ შეძლებს პრობლემის მყისიერ პრევენციას დაუფიქრებლად მიმართავს მილიტარიზმს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ambebi.ge. (2017). *ჟირინოვსკი ბურჯანაძეს: "ნინო, აფხაზეთიც თქვენია და ოსეთიც, თუმცა რუსული ჯარი იქ იდგება"*. მოპოვებული https://www.ambebi.ge/article/216554-zhirinovski-burjanazes-nino/-დან ნანახია: 04.06.2020
2. Arirban, P. (2019). Russia and the 'Geo' of its geopolitics. *ORF Occasional Paper No. 202, Observer Research Foundation*.
3. civil.ge. (2004 წლის 11 08). *ვლადიმერ ჟირინოვსკი სოხუმში ჩასვლით ქართული მხარის პროვოცირებას ცდილობს*. მოპოვებული https://civil.ge/ka/archives/132902-დან ნანახია: 03.06.2022
4. Dugin. (2021). *Origins of Russia's Manifest Destiny.*
5. Dugin, A. (1997). *Osnovy geopolitiki. Geopoliticheskoy budushcheye Rosii.* Arktogeja, Moscow.
6. Horvath, R. (2008). Bewere the rise of Russia's new imperialism. *The Sydney Morning Herald*.
7. Ireland, T. E. (2016). *Foreign Policy Concept of the Russian Federation.*
8. Istok, R., Plavcanova, D. (2013). Russian Geopolitics and Geopolitics of Russia. Phenomenon of space. *European Journal of Geopolitics*.
9. Janse, D. (2021). "Georgia and the Russian Aggression", Sceeus Reports on Human Rights and Security in Eastern Europe No.7. შვედეთი.
10. Jodicke, A. (2018). *Religion and Soft Power in the South Caucasus, 1st Edition.* London.
11. Meister, S. (2021). *Georgian-Russian relations: the role of discourses and nattatives.* Heinrich Boell Foundation South Caucasus.
12. Mikhaylov, T. A. (1999). *Evolyuciya geopoliticheskikh idei.* Moskva.
13. novosti, R. (2021 წლის 25. 04). *Биография Владимира Жириновского*. მოპოვებული ria.ru: https://ria.ru/20210425/zhirinovskiy-1729589832.html-დან ნანახია: 13.05.2022

14. on.ge. (2019 წლის 19 06). *ლევან ვასაძის მტკიცებით, ალექსანდრ დუგინს საქართველოზე აზრი შეაცვლევინა*. მოპოვებული https://on.ge/story/39373-ლევან-ვასაძის-მტკიცებით-ალექსანდრ-დუგინს-საქართველოზე-აზრი-შეაცვლევინა -დან ნანახია: 16.06.2022
15. Paqtebi.ge. (2019 წლის 14 09). *"რა მივიღეთ ქართველებისგან სანაცვლოდ? გავასახლოთ ყველა არალეგალი ქართველი"- ჟირინოვსკი*. მოპოვებული https://paqtebi.ge/რა-მივიღეთ-ქართველებისგ/-დან ნანახია: 04.06.2022
16. paqtebi.ge. (2019 წლის 09 07). *"სრულიად შემთხვევით ერთი რაკეტა არა ვაზიანში, არამედ პირდაპირ ქალაქ თბილისში ჩავარდება"- ჟირინოვსკი საქართველოს ემუქრება*. მოპოვებული https://paqtebi.ge/სრულიად-შემთხვევით-ერთი/ -დან ნანახია: 04.06.2022
17. Report, E. P. (2016). *EU strategic communication to counteract propaganda against it by third parties (2016/2030).*
18. Shekeladze, N., & Kintsurashvili, T. (2020). *Why does not GNCC's Media critic deem him. Pro-Kremlin Propagandist*. მოპოვებული mythdetector.ge: https://mythdetector.ge/en/who-is-maxim-shevchenko-and-why-does-not-gncc-s-media-critic-deem-him-pro-kremlin-propagandist-დან ნანახია: 22.05.2020
19. Smagin, N. (2014 წლის 03. 04). *Максим Шевченко: России пора прекращать следовать в охвостье американского империализма*. მოპოვებული https://sobesednik.ru/politika/20140403-maksim-shevchenko-rossii-pora-prekrashchat-sledovat-v-ohvost-დან ნანახია: 12.05.2022
20. Tavadze, G. (2014 წლის 11). New Russian Imperialism and Georgia: Violent Spatial Practices, Distupted Places, and Destabilized Places. *European Scientific Journal*.
21. Дугин. (2017). Четвёртая политическая теория, Главный редактор газеты «Завтра» беседует с лидером Международного Евразийского движения Александром Дугиным. *«Завтра»*.
22. Дугин, А. (2009). *Четвертая Политическая Теория.*
23. *Максим Шевченко о лжи Владимира Путина об истории Грузии*. (2019). მოპოვებული https://www.youtube.com.-დან

24. *ШЕВЧЕНКО: РОССИЯ БОРЕТСЯ НЕ С ФАШИЗМОМ, А С ЛИБЕРАЛ-ФАШИЗМОМ.* (2015 წლის 22 march). მოპოვებული abnews.ru: https://abnews.ru/2015/3/22/shevchenko-rossiya-boretsya-ne-s-fashizmom-a-s-liberal-fashizmom-დან ნანახია: 12.05.2022
25. ავალიანი, დ. (2012 წლის 07 11). *"დალაგების" დასაწყისი.* მოპოვებული https://tabula.ge/ge/news/550103-dalagebis-dasacqisi-დან ნანახია: 10.06.2022
26. *ანდრეი ეპიფანცევი: თუ საქართველო სომხეთს საბაჟო კავშირში გაწევრიანების უფლებას მისცემს, მოსკოვი აფხაზეთის საკითხს გადაწყვიტავს.* (2013). მოპოვებული ghn.ge: https://ghn.ge/news/98719-დან ნანახია: 12.06.2022
27. ბრაგვაძე, დ. (2021). დუგინი და ევრაზიანიზმი - რა უნდა ვიცოდეთ. *კვირის პალიტრა.*
28. ბრეგვაძე, ე. (2019). *რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
29. გლას, ო. (2020 წლის 12 თებერვალი). *რუსეთის გავლენა ქართულ მედიაზე.* მოპოვებული mythdetector.ge: https://mythdetector.ge/ka/rusethis-gavlena-qarthul-mediaze/-დან ნანახია:14.05.2022
30. დავითაშვილი, ა. (2015). *როგორ იცვლება რუსული "რბილი ძალა" სამხრეთ კავკასიაში უკრაინის კრიზისის ფონზე.* მოპოვებული regional-dialogue.com: http://regional-dialogue.com/russian-soft-power-2/-დან ნანახია: 25.05.2022
31. დავითაშვილი, ზ. (2015). საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა: დაპირისპირების მიზეზები. *ჩემი სამყარო, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის N.8.*
32. დუგინი, ა. (1999). *გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი.* (ვ. ცერცვაძე, & ზ. აბაშიძე, რედ.) თბილისი: მთაწმინდელი.
33. თ. კუპრეიშვილი, ნ. ძ. (2015). *რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე.* მოპოვებული დამოუკიდებლობა.com.-დან
34. ინტერპრესნიუსი. (2020). ვლადიმერ ჟირინოვსკი სააკაშვილს - ძვირფასო მიშიკო, რატომ აღელდი, რისთვის გჭირდება შენი პარტიის გამარჯვება საქართველოში? იქ უკვე ისედაც ცუდია.

35. კინწურაშვილი, შ. (2020 წლის 22 05). *Who is Maxim Shevchenko and why does not GNCC'S media critic deem him "Pro-Kremlin Propagandist".* მოპოვებული Myth Detector: https://mythdetector.ge/en/who-is-maxim-shevchenko-and-why-does-not-gncc-s-media-critic-deem-him-pro-kremlin-propagandist/-დან ნანახია: 22.05.2022
36. კომახია, მ. (თ. გ.). *"პუტინის დოქტრინა" პოსტსაბჭოთა სივრცეში: რუსულენოვანი მოსახლეობა და სამხედრო ძალის გამოყენება.* მოპოვებული პოლიტიკის კვლევის ჯგუფი: https://www.scribd.com/document/323251541/პუტინის-დოქტრინა-პოსტსაბჭოთა-სივრცეში-რუსულენოვანი-მოსახლეობა-და-სამხედრო-ძალის-გამოყენება?irclickid=zxsUxgX6ZxyIUZq0CzSaoUE-UkDzluSX5yQ3Xc0&irgwc=1&irpid=10078&sharedid=wordpress.com&utm_campaign=affiliate_pdm_ac-დან ნანახია: 02.06.2022
37. მაცაბერიძე, მ. (2020). *ანდრეი ეპიფანცევი: საქართველოს შესახებ".* სალექციო კურსი.
38. მაცაბერიძე, მ. *"ვლადიმერ ჟირინოვსკი", გეოპოლიტიკური ხედვა ქართულ ამედიაში გამოქვეყნებული მასალები.* სალექციო კურსი.
39. მაცაბერიძე, მ. (2015). *გეოპოლიტიკა: ჩამოყალიბება და განვითარება.* სალექციო კურსი, თბილისი.
40. მაცაბერიძე, მ. (2020). *ალექსანდრე დუგინი "ფიქრები საქართველოზე".* სალექციო კურსი.
41. მაცაბერიძე, მ. (2020). *მაქსიმ შევჩენკო რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ.* სალექციო კურსი, თბილისი.
42. მაცაბერიძე, მ. (2021). *ალექსანდრე მიტროფანოვის ნაბიჯები "ახალი გეოპოლიტიკისკენ", რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება:წარსული და თანამედროვეობა,.* სალექციო კურსი, თბილისი.
43. მაცაბერიძე, მ. (2021). *რუსი გეოპოლიტიკოსის ქართული კავშირები: დუგინი და ვასაძე.* სალექციო კურსი, თბილისი.
44. მაცაბერიძე, მ. (2021). *საქართველო რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის კონცეფციებში.* სალექციო კურსი, თბილისი.

45. ოხანაშვილი, ნ. (2018). ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი *(სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
46. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx ნანახია: 22.04.2022
47. საქინფორმი. (2012). ანდრეი ეპიფანცევი: "საქართველოს ახალ მთავრობას ყველაფრის შეცვლა უნდა არაფრის შეუცვლელად.
48. სვიმონიშვილი, გ. (2019). *საქართველოს ისტორიის პუტინისეული ვერსია.* მოპოვებული iberiamagazine.com: https://iberiamagazine.com/istoriis-putinseuli-versia/-დან ნანახია: 15.06.2022
49. სვიმონიშვილი, გ. (2020). *ქართველი ისტორიკოსების პასუხი ვლადიმერ პუტინს.* მოპოვებული iberiamagazine.com: https://iberiamagazine.com/istorikosebis-pasukhi-putins/-დან ნანახია: 15.06.2022
50. სპუტნიკი. (2015). *მაქსიმ შევჩენკო: რუსეთი და საქართელ ერთიან აზრობრივ სივრცეში.*
51. ქორქაშვილი, მ. (2021). *რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის როლი კრემლის საგარეო პოლიტიკაში.* თბილისი: Europe-Georgia Institute.
52. ჩიტაძე, ნ. (2011). *გეოპოლიტიკა.* თბილისი: Promotion of the Transparency and Democratization of Defence and Security Sector in Georgia in Post-war Period.
53. წოწონავა, თ. (2021 წლის 27 05). *ვასაძე და დუგინი - შეხვედრა მოსკოვში და გამოხმაურებები თბილისში.* მოპოვებული https://mtavari.tv/news/45025-vasadze-dugini-shekhvedra-moskovshi -დან ნანახია: 17.06.2022
54. წულაძე, ზ. (2017 წლის 16 03). *რელიგია, როგორც "რბილი ძალა" და პოლიტიკის ინსტრუმენტი.* მოპოვებული https://www.amerikiskhma.com/a/georgia-conference-religion-and-soft-power-in-the-south-caucasus/3767755.html -დან
55. ჭანტურიძე, მ. (2018). *რუსული პროპაგანდის გამოვლინებათა სპეციფიკა ქართულ ონლაინ მედიაში.* თბილისი.

56. ხაჩიძე, ნ. (2010 წლის 20 07). *მაქსიმ შევჩნკო: "საქართელო, პეტერბურგი და მოსკოვი იყო რუსეთის იმპერიის სამი მთავარი პოლიტიკური ცენტრი".* მოპოვებული http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=4672-დან
57. ჯამბურია, ლ. (2019). *რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი.
58. ჰალბახი, უ. (2018). *რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში "ახლო საზღვარგარეთსა" და შიდა საზღვარგარეთს შორის.* თბილისი.

დანართი

გზამკვლევი

1. რამდენად მნიშვნელოვანია რუსი გეოპოლიტიკოსების კონცეფციების კვლევა, იმისთვის რომ დავადგინოთ რა გეგმები აქვს რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში?
2. წარმოადგენს თუ არა კრემლის ხმას, შევჩენკოს, დუგინის და ჟირინოვსკის კონცეფციები?
3. როგორ ფიქრობთ, რა იყო 2008 წელს ომის წამოწყების მთავარი მიზეზი. იყო ეს რუსული ევრაზიონიზმის შედეგი?
4. შევჩენკო 2008 წლის ომში დამნაშავედ, საქართველოს იმდროინდელ მთავრობას ასახელებდა და უშუალოდ მიხეილ სააკაშვილს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ მიდის დეფაქტო ხელისუფლებებთან მოლაპარაკება დღეს, იმ მთავრობის პირობებში, რომელიც საკმაოდ მისაღებია ბევრი რუსი პოლიტიკური მოღვაწისთვის.
5. ნაშრომში განხილულია პუტინის და ეპიფანცევის რაკურსი ქართული ისტორიის შესახებ, რომელშიც ბევრ ფაქტობრივ შეცდომას ვხვდებით. როგორ ფიქრობთ რა მიზანი უნდა ჰქონდეს ისტორიის დამახინჯებას?
6. ჟირინოვსკი არაერთ მუქარას ავრცელებდა საქართველოსთან მიმართებაში, შესაძლოა ეს მუქარები მართლაც იყოს საფრთხის შემცველი?
7. თუ კი შევჩენკო, საქართველოსა და აფხაზეთს შორის მოლაპარაკებების შესაძლებლობებზე საუბრობდა, ჟირინოვსკი აფხაზებს დამოუკიდებლობაზე ფიქრს უკრძალავდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჟირინოვსკი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წინააღმდეგიცაა, და რომ რუსეთში ერთი ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.
8. დუგინი აგვისტოს ომზე აცხადებდა, რომ “ომი უკანასკნელი საშუალებაა, მაგრამ საქართველოში ამერიკული ბაზები უარესია, ვიდრე საქართველოსთან ომი”. როგორ ფიქრობთ შეიძლება ველოდოთ კვლავ მსგავსი მიზეზით სამხედრო თავდასხმას რუსეთისაგან?
9. რა ფორმით ცდილობს გავლენის შენარჩუნებას რუსეთი საქართველოში?

10. რბილი ძალის რომელ გამოვლინებებს ვხვდებით საქართველოში?
11. როგორ ფიქრობთ, რა კუთხით ქვეყნდება ქართულ მედია პლათფორმებზე რუსი პოლიტიკური მოღვაწეების ინტერვიუები. არის თუ არა ეს რუსული პროპაგანდის საშუალება?
12. რა მნიშვნელობა აქვს რელიგიას რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, და თუ შეუძლია მას ომის შეჩერება?
13. რას უნდა ველოდეთ რუსეთისაგან ახლო მომავალში?

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Mertsia Khundadze

The concepts of Russian Geopoliticians about Georgia after war of 2008

Political Science

Submitted in fulfillment of the requirements for the master's degree in Political Science

Supervisor: Malkhaz Matsaberidze

Professor

Tbilisi, 2022